# ღრიგალი

თფილისი

ოთხშაბათი, 13 (26) სექტემბერი.

1906

წლიწადი პირველი

ცალკე ნომერი 5 კაპ.


მანგეიმში გაიხსნა გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიის სიეზდი.—კელცში სამხედრო-საველე სასამართლომ ექვსი კაცი დახვრიტა.—სოსნოვიცში პოლიცია-კაზაკებმა მუშათა კრებას სროლა აუტეხა, არიან მოკლულ-დაჭრილები.—დუმის ყოფილ წევრთ საერობო კრებაზე დასწრებას უკრძალავენ.—მკვლელობა-ძარცვა-გლეჯა ხშირდება.—გორის მაზრაში შავი რაზმი შემდგარა.


№ 4 — ყოველ-დღიური გაზეთი. — № 4



8 სექტემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ღრიგალი"

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—კრასნოგორის ქუჩაზე, სახლი № 3—დილის 10—2 საათ., სღამოს 6—7 საათ. კვირა უქმე დღეებში კი 10—12 საათამდე.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილებს არ ინახავს, თუ ავტორი განსაკუთრებით ამას არ ითხოვს; წერილობითი პასუხისათვის საჭიროა 7 კაპ. მარკა.

დაუბეჭდავი წერილების და სხვა სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, დილის 11—1 საათამდე, საღამოს 6—7 საათ., კვირა-უქმეობით 11—12 საათ.

განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., მეოთხე გვერდზე სტრიქონი 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ГРИГАЛИ".



კნეინა **ნატალია ერისთავისა** ნათესავთ და ნაცნობთ აუწყებს, რომ ხუთშაბათს 14 სექტემბერს, მიქელ-გაბრიელის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი

**თ-დი კონსტანტინე დიმ. ძე ერისთავის**

სულის მოსახსენებლათ



**მარიამ პეტრეს ასული ტაბიძე შვილებითურთ** უღრმესის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ პირველი საყვარელი **ქმრის** და მეორენი **მამის** უდროოთ გარდაცვალებას

**კონსტანტინე ოტიას-ძე ტაბიძისა**

პანაშვიდი გადახდილ იქნება ყოველ დღე, დილის 11 საათზე და საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.



[illegible]



ახალგაზრდა **ნოქარი**

ეძებს ადგილს. იკითხეთ „ღრიგალის" რედაქციაში, კრასნაგორის ქ., № 3.



**ივ. გომელაურის**-მიერ შედგენილი ახალი წიგნი:

„სკოლებში შესასწავლი

**ქართველი მწერლები**".

იყიდება ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში (თფილისში).



თფილისის ქართული სათავად-აზნაურო

**კერძო გიმნაზიის**

**პედაგოგიური საბჭო** აცხადებს, რომ სწავლა მეექვსესა, მეშვიდესა და მერვე კლასებში დაიწყება 15 ენკენისთვიდან, ხოლო მოსამზადებელ კლასებში 20 ენკენისთვეს. მოსამზადებელი კლასები მოთავსებული იქნება ყაზბეგის ქალთა სასწავლებელში, ხოლო ზემოთ დასახელებული გიმნაზიის კლასები—ოლგინის ქუჩაზე ი. მაჩაბლის სახლებში. მეცადინეობა დაიწყება ნაშუადღევის ორი საათიდან. ახალი შეგირდები ვაკანსიის უქონლობის გამო არ მიიღებიან. დანარჩენ კლასებშიაც სწავლა, შენობის შოვნის შემდეგ, დაუყოვნებლივ დაიწყება. (2—2)


თფილისის ქალაქის

## გამგეობა

წინადადებას აძლევს მცხოვრებთ, დაუყოვნებლივ შეუდგენ გადაკეთებას წყლის საწვეთი მილებისა და ღარებისა, ვინაიდან ბევრ სახლებს, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა ნაწილებში, წყლის საწვეთი მილები ტროტუარამდის არ აქვს მიყვანილი, რის გამო წვიმის წყალი ტროტუარებზე ესხმება და გამვლელ-გამომვლელებს ასველებს. წყლის საწვეთი მილების და ღარების გადაკეთების დროს აუცილებლათ უნდა იხელმძღვანელონ სავალდებულო დადგენილების 41 პარაგრაფით, რომელშიაც ნათქვამია: „შენობის სახურავიდან სიგრძეზე, ქუჩის მხარეს, უსათუოთ უნდა იყოს გაკეთებული წყლის საწვეთი მილები და ღარები, წყლის საწვეთი მილები უნდა იყოს მიყვანილი ტროტუარამდის და უნდა თავდებოდეს 4 ვერშოკზე ტროტუარიდან.

## პარტიები და მთავრობა

როგორც ვიცით, 17 ოქტომბრამდე რუსეთში არ არსებობდა პოლიტიკური პარტიები (თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ რევოლიუციონურ პარტიებს), რადგან არ არსებობდა არც პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც იწვევს ასეთი პარტიების აღორძინებას. 17 ოქტომბრამდე მხოლოდ ჩანასახათ იყო ასეთი პარტიები საზოგადოების წიაღში და მთელი საზოგადოება მაშინ წარმოადგენდა უმთავრესათ ორს, ერთმანეთის მოპირდაპირე ნაწილს: ერთ მხარეზე იდგენ არსებულ პოლიტიკურ წესწყობილების მომხრენი, მეორეზე—მისი მოწინააღმდეგენი. მაგრამ აი 17 ოქტომბრის მანიფესტმა „პოლიტიკურ თავისუფლების" სიო მოჰბერა და პოლიტიკურმა პარტიებმაც თავი წამოყვეს. საზოგადოება თითქო ერთბაშათ გაიყო მრავალ სხვადასხვა ნაწილათ და თვითეულმა ამ ნაწილთაგანმა თავ-თავისი პარტია წამოაყენა. მაგრამ ეს პარტიები, რასაკვირველია, თავიდანვე სავსებით ჩამოყალიბებული და გარკვეული სახით როდი მოევლინებია ქვეყანას. პირიქით, პირველ ხანებში ერთ და იმავე პარტიაში საზოგადოების სულ სხვა და სხვა ნაწილის წარმომადგენლები იყრიდენ თავს და მხოლოდ დროს განმავლობაში თვითოეული პარტია თანდათან იწმინდებო, და უცხო ელემენტებისაგან. ყველა ეს ელემენტები თანდათან ერკვეოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, პოულობდა თავის შესაფერ პარტიებს და კიდეც ეკედლებოდა მათ.

პარტიების ასეთი თვით-გარკვევის პროცესი განსაკუთრებით დააჩქარა დუმის დაარსებამ და მისმა მოქმედებამ, რადგან სწორეთ დუმამ შექმნა ნიადაგი პარტიებს შორის იმ ბრძოლის აღმოსაცენებლათ, რომელიც აუცილებლათ იწვევს პარტიების ერთმანეთთან მკაცრათ დაპირდაპირებას და თავთავის პოზიციის, თავთავის ფიზიონომიის მტკიცეთ განსაზღვრას.

მაგრამ დუმაში, როგორც ვიცით, თავი მოიყარა თითქმის მარტო ოპოზიციურმა პარტიებმა და ამის გამო იქ პარტიული ბრძოლაც მხოლოდ მათ შორის წარმოებდა. რეაქციონური პარტიები თითქმის მთლათ დუმის გარეთ დარჩენ, ამიტომ იძულებული იყვენ თავიანთი პარტიული ბრძოლა დუმის გარეთ ეწარმოებიათ და თვით დუმაზედაც იერიში მხოლოდ გარედან მიეტანათ.

ამნაირათ იმ ორ ნაწილთა შორის, რომელზედაც განიყოფებოდა საზოგადოება 17 ოქტომბრამდე, დუმა მხოლოდ იმ ნაწილის წარმომადგენლებს შეიცავდა, რომელიც წინააღმდეგი იყო არსებულ პოლიტიკურ წყობილების; ხოლო დუმის გარეთ კი დარჩენ ამ წესწყობილების მომხრენი. ამის გამო საზოგადოების ერთ ნაწილს (ოპოზიციურს) წამდა მხოლოდ დუმა და ის თითქო ახალ მთავრობათ მიაჩნდა; საზოგადოების მეორე ნაწილს კი (რეაქციონურს) მხოლოდ ძველი მთავრობა წამდა და მისი დუმაც ის იყო. აშკარაა, ბრძოლა დუმასა და მთავრობას შორის, რომელიც ისე გამწვავდა, გამოხატავდა ბრძოლას საზოგადოების ორ ერთმანეთის მოპირდაპირე ნაწილთა შორის, და მასთან ერთათ ბრძოლას ოპოზიციურ და რეაქციონურ პარტიებს შორის.

ადვილი გასაგებია, რომ ეს ბრძოლა გაცილებით უფრო მწვავეთ წარმოებდა, ვინემ ბრძოლა თვით დუმაში, თვით ოპოზიციურ პარტიებს შორის, ამ უკანასკნელებს, რასაკვირველია, ბევრი რამ ქონდათ ერთმანეთს შორის საბრძოლველი, რადგან თვითოეული მათგანი მეტი ძალა-გავლენის მოპოებას ცდილობდა. მაგრამ ჯერ, სანამ არც ერთ მათგანს ეს ძალა-გავლენა ოდნავაც არ მოეპოებია და ყველას მათ მთავრობა მისი რეაქციონურ ძალებითურთ გასრესას უქადიდა, ისინიც ყველანი თავიანთ საბრძოლველ ძალას უმთავრესათ ამ საერთო მტრის წინააღმდეგ მიმართავდენ.

და ეს შეხლა-შეჯახება დუმასა და მთავრობას შორის მით უფრო მწვავდებოდა, რაც უფრო ხალხი რევოლიუციონურათ ზვირთდებოდა დუმის გარშემო და მძლავრათ ერეკებოდა მას წინ. და ხალხის ასეთი რევოლიუციონური ძალდატანება გაბედვით და მედგრათ ამხედრებდა მთავრობის წინააღმდეგ არა მარტო დუმის მემარცხენე პარტიებს (შრომის ჯგუფს და სხვ.), არამედ მის ცენტრსაც, ე. ი. უმთავრესათ კადეტებს, და, ასე წარმოიდგინეთ, საკმაოთ თავგამოდებით ბრძოლას აიძულებდა თვით მემარჯვენეებსაც კი, თვით ოქტომბრისტებს.

აი ასეთი მოქმედებისათვის მთავრობამ გარეკა დუმა. მან ეს არ იკმარა და გარეკილ დეპუტატებს სასტიკი დევნა დაუწყო, ესეც არ იკმარა და საზოგადოთ ოპოზიციას მაგარი ლაგამი ამოსდო. ერთი სიტყვით, მთავრობამ კვლავ გაამეფა პოლიტიკური ცხოვრების ისეთივე პირობები, როგორიც 17 ოქტომბრამდე იყო გამეფებული. ამით მან ბოლო მოუღო ოპოზიციის ძალების იმ დაქსაქსვას, რომელიც დაიწყო 17 ოქტომბრის მანიფესტით მოჩვენებულ თავისუფლების („კონსტიტუციონურ ილიუზიების") მეოხებით, და ეს ძალები კვლავ შეაჯგუფა, ოპოზიციონური პარტიები კიდევ უფრო დაუახლოვა ერთი მეორეს. ამასთან ერთათ ყველა ეს პარტიები იმავე მიზეზების გამო სულ უფრო მარცხნივ გადაიხარა და მათ გაცილებით უფრო გააფართოვეს თავიანთი მოთხოვნები, გაცილებით უფრო გაბედვით იწყეს მოქმედება. ყველაზე უფრო ამ მხრივ კადეტებმა იჩინეს თავი. მათ ჯერ კიდევ დუმის დათხოვნისთანავე თვალსაჩინო რევოლიუციონური აქტი მოახდინეს ვიბორგის მანიფესტის გამოცემით. საკმაოთ მოზრდილი ნაბიჯი გადადგა მარცხნივ თვით ოქტომბრისტების ერთმა ნაწილმა, რომელიც ძველ კავშირს გამოეყო და შეეცადა სხვადასხვა კონსტიტუციონურ ელემენტებისაგან ახალ პარტიის დაარსებას „მშვიდობიანი განახლების" პარტიის სახელით, რომელიც არ კმარობს 17 ოქტომბრის კავშირის მეტათ ვიწრო პროგრამას და მოითხოვს პასუხ-მგებელ სამინისტროს დაარსებას, კერძო მესაკუთრეთაგან (აქა-იქ მაინც) მიწების იძულებით ჩამორთმევას, დუმის საჩქაროთ აღდგენას და სხვ. ეს პარტია თავისი პროგრამით იმდენათ დაუახლოვდა კადეტებს, რომ მათთან შესაერთებლათ (არჩევნებისათვის მაინც) უკვე მოლაპარაკება გამართა.

ადვილი მისახვედრია, რომ დუმის გარეკის შემდეგ ოპოზიცია გაცილებით უფრო გაფართოვდა და გაღრმავდა, ვინემ წინათ როდისმე. ჯერ თვით დუმის მოქმედებამ, შემდეგ კი მისმა გარეკამ და აგრეთვე მთავრობის დღევანდელმა პოლიტიკამ მრავალი წინანდელი მომხრე ჩამოაშორა მთავრობას და ოპოზიციაში გადაისროლა; ამასთან მთელი ეს ოპოზიცია წინანდელზე გაცილებით უფრო მედგრათ აამხედრა მის წინააღმდეგ. და თუმცა რეაქციონური პარტიებიც და საზოგადოთ ბნელი ძალები, იმავე მიზეზების გამო, აგრეთვე მედგრათ ირაზმებიან და ერთმანეთთან მჭიდროთ შეერთებას იწყებენ. მაგრამ ერთი მხრით მათი რაზმები მეტათ საგრძნობლათ შეთხელდა, და მეორე მხრით კი მათი გავლენაც მეტის-მეტათ შესუსტდა.

ყოველივე ამის გამო მთავრობამ დუმის დათხოვნის მეორე-მესამე დღესვე ძალიან სუსტათ იგრძნო ნიადაგი ფეხ-ქვეშ და დაუყოვნებლივ შეეცადა ოპოზიციიდან იმ მემარჯვენე ნაწილის მაინც მიმხრობას, რომელიც უფრო ეახლოვება მას თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით,—სახელდობრ მან სცადა გადაებირა თავის მხარეზე ოქტომბრისტები, ეს მთავრობის მონათესავე მსხვილ მემამულეთა პარტია, და ამ მიზნით ორიოდე სამინისტრო პორტფელი შეაძლია მათ. მაგრამ დახეთ მის განცვიფრებას, როდესაც ოქტომბრისტებმა არ იკმარეს მარტო პორტფელების მიღება და რაღაც სხვა „ახირებული პრეტენზიებიც" წარუდგინეს მას. მაგრამ მთავრობას საბოლოოთ როდი დაკარგვია ოქტომბრისტების იმედი, გაჭირვების დროს კიდევ მიაწვდის მათ პორტფელებს. ყოველ შემთხვევაში ისინი არასოდეს რევოლიუციონურ მოქმედებას არ იკისრებენ, როგორც კიდეც დაამტკიცეს ეს ვიბორგის მანიფესტზე ხელის მოუწერლობით,—აშკარაა არც მთავრობა იკისრებს მათ მომდურებას.

სულ სხვა საქმეა კადეტები. ესენი, მთავრობის აზრით, უკვე რევოლიუციონურ მოქმედების გზას დაადგენ, საშიშარი „კრამოლნიკები" არიან, მთავრობას თხუნელებივით ძირს უთხრიან, განსაკუთრებით მომავალ არჩევნებისათვის უმზადებენ საფრთხეს; მაშასადამე, მთავრობამ ეს პარტია ერთიანათ უნდა შებოჭოს და გასაქანი აღარ მისცეს. და აი ისიც ამუხრუჭებს კადეტების პარტიას, უკრძალავს მათ ორგანიზაციებს, უკრძალავს კერძო კრებებს და მით უმეტეს უკრძალავს საიმპერიო პარტიულ სიეზდს.

ასე ექცევა მთავრობა სხვადასხვა ოპოზიციურ პარტიებს მათ დასაქსაქსავათ და დასაუძლურებლათ. მას ჭკუა არ უჭრის მიხვდეს, რომ ასეთი მოქცევით სრულიად წინააღმდეგ შედეგს აღწევს: ასეთი დევნით კადეტების პარტიას, რომელიც ნაირ-ნაირ საზოგადოებრივ ელემენტებისაგან შესდგება და ამის გამო სხვა პირობებში ადვილათ დაიქსაქსება, მთავრობა, პირიქით, ხელს უწყობს რაც შეიძლება მჭიდროთ შეკავშირდეს და თავგამოდებით იმოქმედოს თავის მდევნელის წინააღმდეგ. მეორე მხრით იმავე დევნით მთავრობა, წამებულის გვირგვინს ადგამს მათ თავზე და ხალხის თვალში ფასსა და პატივის-ცემას მატებს, ამასთან იმდენათ „სახარბიელოთ" ხდის მათ მდგომარეობას, რომ ის პარტიაც-კი, რომელიც სხვა პირობებში ადვილათ მიეკედლებოდა მთავრობას, იძულებული ხდება თავის ნებით ჩაიყენოს თავის თავი ასეთსავე მდგომარეობაში. და აი „მშვიდობიანი განახლების პარტია", საგონებელს მისცემია რა კადეტების სიეზდის აკრძალვის გამო, წუხს თურმე, ვაი თუ ჩვენ-კი მთავრობამ ასეთ სიეზდზე ნება დაგვრთოსო: მთავრობის ასეთი მფარველობა დამღუპველ დაღს დააჩენს ამრჩეველთა დამოკიდებულებას ჩვენს პარტიასთანო. „არც ერთი თავის თავის პატივისმცემელი პოლიტიკური ორგანიზაციაო, უთქვამს ხსენებულ პარტიის ლიდერთაგანს შიპოვს, ასეთი ნებართვისათვის მთავრობას არ მიმართავს, რომ საზოგადოებისაგან საკადრისი კიცხვა არ დაიმსახუროსო".

ამნაირათ უჭკოთ ჩაუცლის მთავრობას როგორც კადეტების დევნა, ისე ოქტომბრისტებთან გამოლაშქრება. ის ამით კადეტებს კიდევ უარესათ გადაიმტერებს და ვეღარც ოქტომბრისტებს დაიმეგობრებს. ყოველ შემთხვევაში ადვილათ ვეღარ დაიმეგობრებს ოქტომბრისტების საუკეთესო ნაწილს, რომელიც სტახოვიჩის, გეიდენის და ლვოვის გავლენის ქვეშ იმყოფება და მათთან ერთათ ახალ პარტიაში („მშვიდობ. განახლ.") გადადის. რაც შეეხება მეორე ნაწილს, გუჩკოვის ამყოლ-დამყოლს, მისგან, რასაკვირველია, ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ მარტო მისი შემწეობით მთავრობა ფონს ვერ გავა.

**ვალენტინ.**

## პოლიტიკური მიმოხილვა

**გლეხებს აღარ სურთ ხარკი იხადონ.**

შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები შეთანხმებულან ერთმანეთთან—შეერთებული ძალით იერიში მიიტანონ იმ ურჩ გლეხებზე, რომლებიც ხარკს აღარ იხდიან ხაზინისათვის. ასეთი გლეხები ძალიან გამრავლებულან თვით ცენტრალურ გუბერნიებში, სადაც გლეხები დასაბამიდან ქვეყნისა მთავრობისადმი მორჩილებით იყვენ განთქმული. და აი შინაგან საქმეთა მინისტრს ხსენებულ გუბერნიების გუბერნატორებისათვის ფიცხელი ცირკულიარი გაუგზავნია, რომელშიაც ახსნილია, რომ ხარკის გადაუხდელობის მიზეზთა გამორკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გადაუხდელობის მიზეზი არის არა ფულის უქონლობა, არამედ სურვილის უქონლობა ფული გადაიხადონო. ამის გამო ცირკულიარი უბრძანებს გუბერნატორებს—რაც შეიძლება სასტიკათ მოექეცით ხარკის გადაუხდელობის გამო და დაუყოვნებლივ ქონება გაუყიდეთ ყველას, ვინც კი მის გადახდას არ მოისურვებსო. რასაკვირველია, ურჩებს დასჯა მოუხდებათ, სასტიკი დასჯა! სხვაფრივ ისინი ურჩობას თავს არ დაანებებენ. რომ არ შეეძლოთ ფულის გადახდა, კიდევ ჰო. ფული თუ არ აქვთ, რამე ქონება ხომ მოეძებნებათ, გაყიდონ და ფულიც ექნებათ. მაგრამ თუ არც ამას მოისურვებენ, მაშინ თვით მთავრობა გაუყიდის და თავის ხვედრ ფულს მაინც ამოიღებს. მაშ, ტყვილათ რათ უნდა გააჯავრონ თავიანთი ბატონ-პატრონი? მაგრამ იქნებ მათ ეს პატრონი პატრონათ აღარ წამთ და ამიტომაც აღარ სურთ ხარკის გადახდა? მით უარესი მათთვის! შავ დღეს დააყენებს მათ „პატრონი"—სასტიკათ დასჯის, და მაშინაც აღარ იწამებენ მას? მაშინ ხომ „შიში შეიქმნს სიყვარულსა"! მართალია, ძალით წართმეულს „გემო" აღარ აქვს, ამასთან შიშსაც თავისი საზღვარი აქვს და „სასტიკი მოქცევა" შიშის ადგილას ბოლოს და ბოლოს ისეთ მრისხანე გაბრაზებას გამოიწვევს მოთმინებიდან გამოსულ ხალხის მხრივ, რომ ეს ხალხი თავის „შემაშინებელს თვითონვე საშინელ შიშის ზარს დასცემს, გასაგლეჯათ აღარ დაინდობს, მაგრამ მთავრობა თითქო ძალიან ნაკლებათ ფიქრობს. ან კი რაღა დროს ამაებზე ფიქრია, როდესაც მის ისედაც გამოფიტულ ხაზინას საშინელი საფრთხე მოელის გლეხების „ურჩობის" მეოხებით და

ველარავითარი სხვა საშუალებით, თუ არ თავისებური ტლანქი ძალ-მომრეობით, ვეღარას გამოდნება მათ.

**გლეხთა მონარქიული კავშირი დაირღვა.**

დიახ, მხოლოდ ტლანქი ძალმომრეობაღა დარჩენია მთავრობას გლეხების თავის ნებაზე ასამოქმედებლათ, რადგან გლეხობა არა თუ თვით მთავრობას აღარას უსმენს, იგი ახლოც აღარ იკარებს არაფერს, რასაც კი მთავრობის და მისი დამქაშების სუნი უდის. მთავრობის ზნეობრივ გავლენას გლეხებში ყოველივე ნიადაგი ეცლება და რა გინდ მისმა დამქაშებმა ანგელოზებათ მოაჩვენონ მათ თავი, ვერაფერი საშვალებით თავის ხაფანგში ველარ იჭერენ. მოგეხსენებათ, მთავრობა და მისი ამყოლ-დამყოლი პარტიები თავის მოწყალე ყურადღებას განსაკუთრებით გლეხებს აპყრობენ; რატომ, —ეს ხომ ყველამ ვიცით. ნამეტნავათ ამჟამათ გააჩაღეს ამ პარტიებმა გლეხებში მუშაობა ახალ არჩევნების მოლოდინში და ყოველი ღონე ილონეს გლეხთა მონარქიულ კავშირის დასაარსებლათ. ვითომ დაარსეს კიდეც ასეთი კავშირი, მაგრამ, წარმოიდგინეთ მათი უბედურება, გლეხთა კავშირის შესადგენათ ბლომათ ვერ უშოვიათ... იცით ვინ? გლეხები! და წარმოიდგინეთ კიდევ უარესი უბედურება: ის თითო-ოროლა გლეხებიც კი, რომლებიც კავშირში რაღაცნაირათ შეუტყუებიათ, ისინიც კი გაქცევიან კავშირიდან, და ამნაირათ კავშირსაც თქვენი ჭირი წაუღია. ეს ფაქტი, ჩვენი ფიქრით, გაცილებით მეტ რამეს ამტკიცებს, ვინემ გლეხების მხრივ მთავრობის უპატივცემლობას: ხსენებული კავშირი ხომ მონარქიული კავშირი იყო!..

**კიშინიოვის შავრაზმელთა ვედრება.**

ერთი მხრით რომ მონარქიულ-პატრიოტულ პარტიებს გასავალი აღარ აქვთ ხალხში, მეორე მხრით მათ ველარ აკმაყოფილებენ მინისტრებიც და მთელ თავიანთ იმედებს მხოლოდ მონარქზე-ღა ამყარებენ. სხვათა შორის, კიშინიოვის განყოფილებას ეგრეთ-წოდებულ „რუსეთის ხალხის კავშირისას" მეფისათვის მიუმართნია შემდეგი დეპეშით: „დიდებულო ხელმწიფევ, სახალხო განათლების მინისტრის განკარგულების გამო სასწავლებლებში მისაღებ ებრაელთა „პროცენტების" გაუქმების შესახებ შენი ერთგული ქვეშევრდომნი სახტათ დარჩნენ. მრავალმა რუსებმა ადგილი ველარ იშოვეს სასწავლებლებში, რადგან ეს ადგილები ებრაელებს დაუჭერიათ. ამ გარემოებით შეწუხებული რუსეთის ხალხის კავშირის კიშინიოვის განყოფილების საბჭო კადნიერდება შეგევედროს შენ, ხელმწიფევ, სამართალში მისცე ის მინისტრი, რომელიც გაკადნიერებულა დაურღვევია შენი ნება, გამოთქმული კანონში და მით მცხოვრებთათვის კანონის უპატივცემულობის ავაზაკური მაგალითი მიუციაო". ამნაირათ კიშინიოვის შავრაზმელთა განყოფილებას მინისტრისათვის შავრაზმელობის ღალატი შეუმჩნევია და ამ გარემოებაზე მეფის ყურადღებას აქცევს, ევედრება მას ღირსეულათ დასაჯე შენი ნების ასე თავხედურათ დამრღვევი მინისტრიო.

ვალ—ინ.

---

## წერილები გერმანიიდან

„გერმანიის პროფესიონალური მოძრაობა ვერასოდეს ვერ მიაღწევს იმ აყვავებას, რომელსაც მიაღწია ინგლისის ტრედ-უნიონებმა!". ეს სიტყვები წარმოთქვა ფრანკფურტის პარტეიტაგზე (1894 წ.) ერთმა იქაურმა ცნობილმა მოღვაწემ, მთა-მადნის მუშათა ცენტრალურ კავშირის მოთავემ ჰუემ. მკითხველმა უკვე დაინახა ერთ-ერთ ჩემი წერილიდან, რომ ეს მოლოდინი არ გამართლდა. თვითონ ჰუემ აღიარა ეს ამა წლის პროფესიონალთა ცენტრების ერთ კონფერენციაზე, რომელზედაც ქვევით მექნება ბაასი. ახლა არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოს, რომ გერმანიის პროფესიონალები თანდათან დიდ გავლენას პოულობენ მუშებზე და მათი როლი შრომა-კაპიტალის ბრძოლის ველზე ფრიად მნიშვნელოვანია. ყველასათვის ცნობილია, რომ ისინი არა მარტო გაფიცვების დროს უწევენ თავიანთ წევრებს მფარველობას,—მათი მოღვაწეობა მშვიდობიან სოციალურ ნიადაგზე დაუფასებელია. საკმაოა დავასახელოთ ავათმყოფ-მოხუცებულთა დახმარება აღზრდა, პრესა და ბევრი სხვა, რომლებზედაც ისინი ხარჯვენ ყოველ წლივ მილიონებს, რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ მათი დიადი მნიშვნელობა მუშების და მათი ჩამომავლობის წარმატებისათვის.

მაგრამ პროფესიონალთა ზრდა-წარმატებას ყოველთვის თან მოსდევს ხიფათი, რომ მისი წევრები აცდენ ბოლოს და ბოლოს სწორე გზას და ის, რაც წინეთ საშვალებათ მიაჩნდათ, მიზნათ აღიარონ. სიცრუეა მტრების აზრი, ვითომ სოციალდემოკრატია ქადაგებდეს—რაც უფრო ცუდ მდგომარეობაშია მუშა, მით უკეთესია მისი მოძრაობისათვისო. მუშას არასოდეს არ კლებია ცუდი მდგომარეობა,—ამისათვის ბურჟუაზია საკმაოთ ზრუნავს. სოციალდემოკრატია არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, რომ მუშის მდგომარეობა გამოკეთდეს დღევანდელ წყობილებაში, რამდენადაც ამას შესაძლებლათ ხდის არსებული საწარმოვო ურთიერთობა. მდგომარეობის ასეთი გაუკეთესება კი მხოლოდ საშვალებაა მუშის სულიერ ფიზიკურათ ასამაღლებლათ, რომ მან გაათკეცებული ძალით შესძლოს თანამედროვე „ცივილიზაციურ ბარბაროსობასთან", ან კაპიტალისტურ წყობილებასთან მედგარი ბრძოლა. ამიტომ იგი ყოველთვის ქომაგობას უწევდა მუშების პროფესიონალურ ორგანიზაციებს. გერმანიაში ამას გარდა, პროფესიონალების პირველი დამფუძნებელნი სოციალისტები იყვნენ.

აი ამ ნამდვილ დანიშნულებას პროფესიონალებისას, როგორც ერთ-ერთ საშვალებისას პროლეტარიატის მსოფლიო ბრძოლაში, ცოტათ თუ ბევრათ ივიწყებდენ ხოლმე მათი მოთავენი. ისინი ამ შემთხვევაში მუშების მდგომარეობის გამოკეთებას თანამედროვე წესწყობილებაში აღიარებენ მიზნათ და ბერნშტეინის პირით გაიძახიან: „პრინციპები არაფერიაო".

რაც უფრო დიდ მნიშვნელობას პოულობს პროფესიონალური მოძრაობა, მით უფრო შესაძლებელი ხდება ზოგიერთ შემთხვევაში კაპიტალისტთა და პროფესიონალურ კავშირთა შორის მშვიდობიანათ ხელშეკრულობის დადება ხელფასის და სამუშაო დროს შესახებ. სადაც ასეთი შეთანხმება ჩამოყარდება რამდენიმე თვით, ან წლით, იქ ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შუა კარგავს დროებით გამწვავებულ ფორმას, და ბადავს ილიუზიებს, რომ კლასობრივი ანტაგონიზმი არც ისე დიდია.

პროფესიონალები, როგორც დავინახეთ, საგრძნობელ დახმარებას უწევენ თავიანთ წევრებს. ამას შედეგათ ის მოსდევს, რომ პროფესიონალთა წევრები შეღავათიან (პრივილეგიურ) მდგომარეობას აღწევენ ცხოვრებაში შედარებით, რასაკვირველია. ყველამ კარგათ იცის, ეგრეთწოდებული „მუშათა არისტოკრატია" ინგლისში, რომელიც გაჩნდა შიგ ტრედ-უნიონში და რომელიც არა-წევრებს-მუშებს აბუჩათ იგდებდა. ასეთი ტენდენცია გერმანიის პროფესიონალებში რამდენადმე საგრძნობელია. აქაურ პროფესიონალებში ირიცხებიან, მაგალითათ, მილიონ ნახევრამდე წევრები, რაც მთელი მუშების რაოდენობის უმცირესობას შეადგენს. უმრავლესობა კი ორგანიზაციის გარეშეა და ამის გამო მას აკლია ყველაფერი ის, რასაც პროფესიონალური კავშირი აწვდის თავის წევრებს. უმეტეს შემთხვევაში პროფესიონალურათ შეკავშირებული მუშები უკეთეს მდგომარეობაში არიან ნივთიერათ და ამიტომ ისინი უფრო თავდაჭერილი არიან თავიანთ მოქმედებაში და ნაკლები მოუთმენლობით მიისწრაფვიან სოციალიზმისაკენ, ვინემ ორგანიზაციის გარეშე მყოფნი და თავიანთი დაქსაქსულობით დაუძლურებულნი. ამ შემთხვევაში ხსენებულ ორ ჯგუფთა შორის იბადება ექვიანობა, უნდობლობა და ხშირათ აშკარა განხეთქილებაც კი: პირველები უკიჟინებენ მეორეთ „რევოლიუციონურ რომანტიზმს, რადიკალობას", მეორენი პირველთ „ოპორტიუნიზმს, გაუბედაობას" და სხვ.

პროფესიონალთა შემოსავალ-გასავალი ყოველ წლივ 60 მილიონს აღწევს გერმანიაში. მათ აქვთ ნაღდათ 20 მილიონამდე. ამასთან ისინი არიან მესაკუთრენი მრავალ შენობისა, სააღებ-მიცემო საქმისა და სხ. ეს გარემოება პროფესიონალურათ შეკავშირებულთ რამდენადმე აკრავს თანამედროვე წყობილებასთან. მათ არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, ამას გარდა, რომ, თუ ვინიცობაა ისინი „კანონიერ" საზღვარს გადასცილდენ, გაბატონებულ კლასთ ათასგვარი ხრიკები მოეპოებათ, რომ დალეწონ მათი ორგანიზაციები და ქონება ხელიდან გამოსტაცონ. ასეთ პირობებში პროფესიონალთა მოთავენი ხშირათ არჩევენ ისევ „ზომიერების" საზღვარს გადასცილდენ და თანამედროვე „კანონს" არაშესაფერი მორჩილება გამოუცხადონ.

ერთ მილიონ ნახევარ მუშათა ორგანიზაციები ისეთ რთულ და ვეებერთელა აპარატს შეადგენენ, რომ მათ ხელმძღვანელათ საჭირო არის მთელი შტაბი ათას გვარ დიდ და პატარა მოხელეთა. გამოცდილი და განათლებული მუშები ასობით სწირავენ მთელ თავიანთ ძალღონეს პროფესიონალთა ნაირ-ნაირ დაწესებულებათ და მათგან დახელოვნებული სპეციალისტები გამოდიან ხოლმე. მათ არა აქვთ მოცალეობა სხვა რამე საქმისათვის, არც საშუალება მუშების საერთო მოძრაობას შესაფერ ყურადღებით ადევნონ თვალი. წვრილმანი ყოველდღიური საქმიანობა ზღუდავს მათ გონებრივ ჰორიზონტს; მათ თვალიდან ეკარგებათ პროლეტარიატის საბოლოო მიზანი და ყველაფერს დღევანდელ აღლით ზომავენ. ბოლოს და ბოლოს ისინი უფრო ბიუროკრატებს ემგზავსებიან, რადგან მათ სამუდამო საქმეთ ხდება „ბიუროზე" მუშაობა. განვითარების ან უკეთ რომ ვთქვათ უკან-სვლის ამ ხანაში ისინი კარგავენ პოლიტიკურ ყნოსვას და მასასთან ერთგრძნობიერებას და თავიანთ „ბიუროს" მუშების პროფესიონალთა უმაღლეს დანიშნულებათ აღიარებენ ხოლმე. ეჭვს გარეშეა, ასეთ უკუღმართ გზაზე ჯერ კიდევ არ ადგანან გერმანიის პროფესიონალთა მოხელენი, მაგრამ რომ ასეთი მიდრეკილება სუფევს მათში, ესეც ეჭვს გარეშეა.

მე ჩამოვთვალე უმთავრესი პირობები, რომელნიც საკმაო ნათელს ფენენ ზემოთ დასახელებულ ხიფათს. ეს პროფესიონალური „კრეტინიზმი", მარქსის თქმის არ იყოს, დიდ სახიფათო რამეს არ წარმოადგენდა გერმანიაში პოლიტიკურ პირობების წყალობით. მართალია, „ზომიერებისკენ" ლტოლვილება მუდამ სუფევდა პროფესიონალთა შორის, მაგრამ რეაქციონურ ძალთა წინააღმდეგ შესაფერი ბრძოლა შესაძლებელი იყო მათთვის მხოლოდ სოციალდემოკრატიასთან ერთათ მსვლელობით. ეს ასეც იყო აქამდე. პროფესიონალები იცავდენ თავიანთ წევრების სპეციალურ ეკონომიურ ინტერესებს, სოციალდემოკრატია კი იცავს საერთოთ მთელი პროლეტარიატის პოლიტიკურ-სოციალურ ინტერესებს. ამგვარათ, პირველნი თუმცა დამოუკიდებელნი იყვნენ თავიანთ სფერაში, მაგრამ ისინი მაინც შეადგენენ მეორეს ნაწილს და ყოველ საერთო პოლიტიკურ კითხვებში უკანასკნელის (ს-დ-ის) დირექტივებს საკუთარ გზის მაჩვენებლათ აღიარებდენ.

ა. ჩხენკელი

---

## ახალი ამბები

◆ დღეს, 13 სექტემბერს თფილისის სამოსამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში დანიშნულია განსახილველათ საქმე გაზეთ „**ლამპრის**" რედაქტორის კ. თავართქილაძისა. ბრალს დასდებს პროკურორის ამხანაგი ბ. ნიკულინი. დაიცავენ ნაფიცი ვექილები ი. ბარათაშვილი და მ. გრუზენბერგი.

◆ გორის მაზრიდან გვატყობინებენ, რომ იქ კოლტა ამირეჯიბის თაოსნობით შემდგარა „**შავი რაზმი**". დადიან სოფლიდან-სოფლათ და აწიოკებენ ხალხს. ართმევენ ყველაფერს, აუპატიურებენ ქალებს და სხვა. ამ დღეებში იარაღიც დაურიგებიათ მათთვის. რაზმელები უფრო ღამ-ღამობით დადიან და პირი ახვეული აქვთ, რომ არავინ იცნოს. ამ დღეებში ააწიოკეს სოფელი ხსნითი, ბალანი და ბაყანი.

◆ 9 სექტემბერს ბათუმში გაირჩა საქმე ქუთაისის რკინის გზის სადგურზე მოსამსახურე ქ. **ელისეი როგონიკოვისა**, რომელიც წინეთ ბათუმის ნაწილში და ქ. ახალსენაკში ჟანდარმათ მსახურებდა. როგონიკოვი დეკემბერში დააპატიმრეს და მას შემდეგ ქუთაისის ციხეში იჯდა. მას აბრალებდენ ტენგინის პოლკის სალდათებში აგიტაციის გაწევას. ბათუმში როგონიკოვს იცავდა ნაფიცი ვექილი მელქისედეკ ფალავა (ქუთაისშია). სასამართლოს როგონიკოვისთვის ყოველივე უფლებათა ჩამორთმევა და ციმბირში საუკუნოთ გადასახლება გადაუწყვეტია.

◆ **არტემ დანილოვი** გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „მე, არტემ დანილოვს მკერვალთა პროფესიონალურმა კავშირმა დანაშაულობისთვის ექვსი თვის ბოიკოტი გადამიწყვიტა. მე საჯაროთ ბოდიშს ვიხდი და ვაცხადებ, რომ დანაშაული ვარ და ვსთხოვ მკერვალთა პროფესიონალურ კავშირს მაპატიოს ეს დანაშაული და ბოიკოტი, თანახმათ თავის დადგენილებისა".

◆ თელავის სატუსაღოდან ამ დღეებში თფილისში ჩამოუყვანიათ 19 **პოლიტიკური ტუსაღი**. მათ შორის არიან ამხ. ელენტი და გაბელოვი.

◆ ს. **სამებიდან (გურია)** გვატყობინებენ, რომ იქ, ამ დღეებში გაუძარცვავთ ოთხი დუქანი. წაუღიათ ფულათ 200 მან. და 2000 მანეთის საქონელი. აირჩიეს კომისია მძარცველების აღმოსაჩენათ.

◆ თფილისის **დალაქების და პარიკმახერების** პროფესიონალური კავშირი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ის მხარს უჭერს პარიკმახერთა ქარგლების პროფესიონალურ კავშირის მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს მიხაკა თაბუაშვილზე, რომელმაც დაარღვია ამხანაგური დადგენილება და კვირა უქმე დღეებში იმუშავა. მოვითხოვთ ამხანაგობისაგან მტკიცეთ დაიცონ ბოიკოტი.

◆ 9 სექტემბერს თავი მოიწამლა კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბის სტამბის ასოთ-ამწყობმა **პალიენკომ**. პალიენკოს წერილი დაუტოვებია, სადაც სხვათა შორის თავის სიკვდილს „გამგე იაპუნინს" აბრალებს.

◆ გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ ქალაქის უსაქმოთ დარჩენილთა რიცხვში მომუშა-

---

# ფელეტონი

—:—

### რუსეთის პროლეტარიატის საერთაშორისო მნიშვნელობა

კ. კაუცკისა *).

საკვირველი არსებაა ეს რუსეთის პროლეტარიატი. მგონი დიდი დრო არ გასულა მას აქეთ, როცა ლაპარაკობდენ მის არსებობასა თუ არ არსებობაზე. რაღაც სულ რამდენიმე წლის უკან უარყოფდენ მას და ამბობდენ, რომ იგი ვერავითარ პოლიტიკურ მნიშვნელობას ვერ მოიპოვებსო, ეხლა კი ის მთელი ევროპის დემოკრატიის ყურადღებას იქცევს, მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის გული და სული გახდა. რაც უფრო მაგრათ სცემს ეს გული, მით უფრო ჩქარია მთელი ევროპის პროლეტარიატის მოძრაობის პულსი. და, პირიქით, აშკარათ ჩერდება ევროპიული მოძრაობა, როცა სუსტდება მისი რუსეთის გული. როგორი აღფრთოვანებული მხიარულება დადგა მთელი ქვეყნის პროლეტარიატისათვის დიდებულ ოქტომბრის დღეებში; როგორ თავისუფლათ ამოისუნთქა მთელი ქვეყნის ბურჟუაზიამ დეკემბრის და იანვრის დღეებში—რეაქციის მძვინვარების დროს.

როცა მე რუსეთის პროლეტარიატს საერთაშორისო პროლეტარიატის გულს ვუწოდებ, ამაში არავითარი პირფერობა არ არის. ამით მე არ მინდა ვთქვა, რომ რუსეთის პროლეტარიატი სხვა ქვეყნის პროლეტარიატზე მაღლა დგას მეთქი. ვაჟკაცობაში, გაბედულობაში და საქმისათვის თავდადებაში ყველა ქვეყნის პროლეტარები ცოტათ თუ ბევრათ თანასწორნი არიან. და თუ ერთნი იმით განსხვავდებიან, რომ შეუძლიათ ბევრის ატანა და გაძლება, სხვები სამაგიეროთ ყურადღებას იქცევენ თავიანთი თავდავიწყებული გატაცებით. მარა ამასთან დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი დიდი ხანია რაც არსებობს, და რუსეთის პროლეტარიატის წინ ის უპირატესობა აქვს, რომ მას დიდი გამოცდილება მოეპოება. დასავლეთ პროლეტარიატის ბრძოლას უმეტეს შემთხვევაში 100 წლის ისტორია აქვს. ამასთან ბურჟუაზიულმა კლასებმა კარგა ხანია დაუთმო მას, როგორც საყოველთაო სასკოლო სწავლება, აგრეთვე ერთნაირი თავისუფლება პრესის და კავშირების, და, მაშასადამე, მას მეტი საშვალება აქვს შეიძინოს მეტი ცოდნა, გააძლიეროს თავისი ორგანიზაციები.

პრაქტიკულ გამოცდილებაში, საზოგადო განვითარებასა და მასიურ ორგანიზაციის საქმეში რუსეთის პროლეტარიატი კარგა დიდი მანძილით ჩამორჩა თავის დასავლეთ ევროპის ამხანაგებს და თუ მაინც და მაინც საერთაშორისო პროლეტარიატის გულს შეადგენს, ამის მიზეზი იმყოფება იმ საზოგადო პოლიტიკურ მდგომარეობასა და იმ მნიშვნელობაში, რომელიც მოიპოვა მთელი ევროპისათვის რუსეთის აბსოლიუტიზმმა.

ყოველთვის ერთი და იგივე პროლეტარიატი არ უდგას სათავეში საერთაშორისო მოძრაობას, როგორც მისი მოწინავე მებრძოლი, რომლის გამარჯვებისაგან დამოკიდებულია ყველა დანარჩენების გამარჯვება. ამ როლში მებრძოლნი იცვლებიან და ეს შეხვედრა ის, ეს დამოკიდებულია არა მარტო ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატის თვისებაზე, არამედ მრავალ სხვა გარემოებაზე და პირველ ყოვლისა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყანას საერთაშორისო ბაზარზე და საერთაშორისო პოლიტიკაში.

1870 წლამდე საერთაშორისო პროლეტარიატის მოწინავე მებრძოლი იყო საფრანგეთის და ინგლისის პროლეტარიატი. საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ ეგევე ფუნქცია გადავიდა გერმანიის პროლეტარიატზე. შეკავშირდა რა ამ ომში, გერმანია პატარა სამეფოთა კონგლომერატის (კრებულის) მაგიერ გადაიქცა ევროპის უძლიერეს სახელმწიფოთ, რომელშიაც თანამედროვე მსხვილი მრეწველობა განვითარდა სხვაზე უფრო სწრაფი ნაბიჯით.

მარა იმ დროს, როცა ყველა ამაების მეოხებით განმტკიცდა გერმანიის პროლეტარიატის საერთაშორისო მნიშვნელობა, საძირკველი ჩაეყარა აგრეთვე რუსეთის პროლეტარიატის მომავალ მნიშვნელობასაც.

გერმანიის იმპერიამ იმით გაათავა ომი, რომ დაასახიჩრა საფრანგეთი, როცა ჩამოართვა მას ძალით ელზასი და ლოტარინგია, შექმნა ახალი ომის მუდმივი საფრთხე და დათესა გერმანიის და საფრანგეთის გაბატონებულ კლასთა შორის ძლიერი მტრობა. გერმანული ციხეები წამოიჭიმა პარიჟის ახლო, რომლებიც იწვევდენ საფრანგეთში ძლიერი მტრის ახლათ შემოსევის შიშს. ევროპის კონტინენტზე საფრანგეთი არ ხედავდა სხვა ძალას, გარდა რუსეთისა, რომელიც დაიცავდა მას გერმანიის სამხედრო ძლიერებისაგან, ამიტომ ის ჩაუვარდა ხელში რუსეთის ჯარების გამგე აბსოლიუტიზმს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მუხლმოდრეკით დაეცა მის წინაშე და, ევედრებოდა რა დახმარებას, ცდილობდა მოეყიდა ის თავისი მილიარდებით.

მე-60 წლების ბოლოს დაიწყო აგრეთვე რუსების შესვლა ცენტრალურ აზიაში, რაც რუსეთს ბრიტანიის ინდოეთის სულ უფრო და უფრო საშიშარ მტრათ ქმნიდა. აქამდე ზღვის მფლობელი—ინგლისი, მე 19 საუკუნეში მიუდგომელი სიმაგრე იყო სხვა ევროპის სახელმწიფოებისათვის. მარა აი, რუსეთი თავისი ხმელეთის ჯარით სულ უფრო და უფრო ახლო მიუჩოჩდა მის მგრძნობიარე პუნქტს, სახელდობრ იმ პუნქტს, სადაც საძირკველი აქვს ჩაყრილი მთელი დიდი ბრიტანიის კაპიტალისტურ ექსპლოატაციის სისტემას. ინგლისის კონსერვატიული პოლიტიკოსები ცდილობდენ მოეშორებინათ თავიდან საფრთხე და ამ მიზნით რუსეთის მოწინააღმდეგე აზიის სახელმწიფოებთან კავშირს კრავდა, პირველათ ოსმალეთს და ბოლოს იაპონიას უმეგობრდებოდა; ლიბერალებს, პირიქით, ისე ეშინოდათ რუსეთთან ომის, რომ ვერ წარმოედგინათ ამ სახელმწიფოს მიმართ სხვა პოლიტიკა, თუ არ პოლიტიკა მისი გულის მოგებისა და კეთილ განწყობილებისა. მეფის წინაშე მეგობრული სამსახური გლადსტონის დროიდან გახდა ინგლისის ლიბერალიზმის უმთავრეს პოლიტიკათ. ჩვენ ეხლაც ვხედავთ მის ნიმუშებს.

ამნაირათ ყველაზე უფრო დემოკრატიული ევროპის სახელმწიფოები გადაიქცა რუსეთის აბსოლიუტიზმის ერთგულ ბურჯათ იმის მიუხედავად, რომ მათ საკუთარ კონსტიტუციასა და ამნაირ მათ მოქმედებას შორის არსებობდა აშკარა წინააღმდეგობა. მარა თუ საფრანგეთს და ინგლისს საგარეო პოლიტიკის ინტერესები ხდიდა მეფის მსახურებათ, გერმანიას და ავსტრიას ამასვე აიძულებს საშინაო პოლიტიკა. ამ ორ სახელმწიფოში ჯერ კიდევ დაცულია ნახევარ-აბსოლიუტიზმი, მათში ჯერ კიდევ ბატონობს თავად-აზნაურობა, ეკლესია, მილიტარიზმი და ბიუროკრატია, რომელიც სულ ცოტათია შეზღუდული უძლურ პარლამენტარიზმით. მარა ამ ნახევარ-აბსოლიუტიზმს არ ძალუძს გამაგრდეს, რაკი დაეცემა რუსეთის აბსოლიუტიზმი.

ყველაფერი ეს აიძულებს ევროპის მთავრობებს და მის გაბატონებულ კლასებს, დაეჯიბრონ ერთმანეთს რუსეთის მთავრობისადმი სამსახურში. ეხლაც კი, როცა ღრმათ დაკოდილი რუსეთის აბსოლიუტიზმი ძლივსღა აგრძელებს თავის არსებობას, მიუხედავათ ამისა, მან კიდევ შეძლო ალჟესირასის კონფერენციაზე გამოსულიყო საქმის გადამწყვეტ მსაჯულათ საფრანგეთსა და გერმანიის შორის და ამისათვის ევროპიდან წამოეღო სიხარულით მიცემული ერთი მილიარდი მანეთი.

მთელი ბურჟუაზიული ევროპისათვის რუსეთის აბსოლიუტიზმის ასეთი მნიშვნელობის შემდეგ ადვილი გასაგებია რუსეთის პროლეტარიატის მნიშვნელობა მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობისათვის. ასეთი გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა ცარიზმს ნაპოლეონის ომების შემდეგ, როცა აქამდე უძლეველი ბონაპარტე დამარცხდა რუსეთში და ევროპაში გაბატონდა წმინდა კავშირი; მერე ხელახლა—48 წლის რევოლიუციის შემდეგ, როცა რუსეთის ჯარებმა გადაარჩინეს გაბსბურგების მონარქია უნგრეთში. ამ

---

*) ეს წერილი ამოღებულია მუშათა წლიურიდან (ежегодия), რომელიც ამ მოკლე ხანში გამოვა რუსულ ენაზე.

ვე სტუდენტებმა შემწეობა ითხოვეს ქალაქის გამგეობისაგან უნივერსიტეტებში წასასვლელათ. 11 სექტემბრის სხდომაზე **ქალაქის საბჭომ** დაადგინა მიეცეს სტუდენტებს ქალაქის თანხიდან 600 მანეთი.

✦ 10 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე **ვოგზლისა და გოგოლის ქუჩის კუთხეში** რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა მეტეხის ციხისა და თფილისის სამხედრო ჰოსპიტალის სურსათის მოიჯარადრე გალუსტ ხაჩეკიანცს. უცნობებმა ხაჩეკიანცს 5-ჯერ ესროლეს რევოლვერი, მაგრამ ააცდინეს და გაიქცენ.

✦ **კავკავის ქალაქის თავი** შეეკითხა თფილისის ქალაქის თავის მოადგილეს ვ. ჩერქეზიშვილს, შესაძლოთ სცნობს თუ არა ქალაქის თანხიდან გადაიდოს ფული კავკავის მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის. პოლიტეხნიკუმთან იქნება სასოფლო-სამეურნეო, სამთო და მექანიკურ-ქიმიური განყოფილებები.

✦ **უსახელო საზოგადოების სამმართველომ** შეატყობინა ქალაქის გამგეობას: ავლაბარში ტრამვაის გაყვანის საქმეს ის დაბრკოლება ეღობება წინ, რომ ციციანოვის კლდეზე აშენებული სახლები ტრამვაის მუშაობის დროს ადვილი შესაძლებელია ჰაერის მოძრაობით დაინგრესო. ქალაქის გამგეობამ უსახელო საზოგადოების ქაღალდი განსახილველათ ტეხნიკურ კომისიას გადასცა.

✦ გუშინ, 12 სექტემბერს, **ტეხნიკური კომისიის წევრებმა**: საგუბერნიო ტეხნიკოსმა, მისმა თანაშემწემ, სახაზინო თეატრის ტეხნიკოსმა როგოისკიმ და პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა მანდრიკინმა დაათვალიერეს სახაზინო თეატრის მოწყობილებანი.

✦ 11 სექტემბერს მოხთა მასალები ეგზამენები **საბალოსნო სკოლაში**. მიიღეს 7 კაცი. 7 კაცის ვაკანსია კიდევ არის.

✦ თფილისის გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო თამარა შარაშიძეს გამოსცეს თფილისში ყოველდღიური **ქართული გაზეთი „ბრძოლა“**.

✦ თფილისისა და თფილისის მაზრაში სამხედრო წესების მოხსნამდე დრ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **დაიკეტა** მელიტონ გოშაძისა და დიმიტრი ლებანიძის **თორნე**. მიზეზათ იმას ასახელებენ, თითქოს ამ თორნეში საეჭვო პირები იკრიბებოდენო.

✦ ეგზარხოსის კანცელარიის მმართველმა ტრელინმა ქაღალდი შეიტანა **სამსახურიდან გადაყენების შესახებ**. ტრელინი ამ ადგილზე ქუთაისის სასულიერო სემინარიიდან გადმოიყვანეს, სადაც ის უფროს კლასებში ღვთის-მეტყველებას ასწავლიდა.

✦ **საამხანაგო სასამართლო** სთხოვს იმ პირთ, რომელნიც იყვნენ ბ. ბლოკის და აბანოიძის შორის მომხდარ ინციდენტის დროს, თავისი ჩვენება მოგვაწოდონ წერილობით. წერილების დატოვება შეიძლება რედაქციაში.

✦ მივიღეთ საუმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ № XVII მცირეწლოვანთათვის—შემდეგი შინაარსისაა: 1. პატარა ძიძა. ლექსი შ. მღვიმელისა; 2. დედანა, კ. მარტვილელისა, 3. ბაბა წაიყვანეს, მარიამ დემურიასი, 4. ოქროს ქათამი,—ზღაპარი დ. კილოსანიძისა, გეოგრაფიული ცნობანი და გასართობი.

✦ ამ დღეებში თფილისში გამოვა სომხურ ენაზე ახალი ყოველ-დღიური გაზეთი „გსგონ“ (მიწ.)

## პ რ ო ტ ე ს ტ ი.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში, გამოაცხადოთ პირველ გვერდზე ჩვენი პროტესტი. აღშფოთებულნი გორის მაზრის სოფელ ცხინვალში ვერაგულათ მოკლულ დაუღალავ მებრძოლის თავისუფლებისათვის **ნიკა მინდიაშვილის** მკვლელობით, ჩვენ მეხუთე რაიონში, მეორე პოდრაიონის რაზმელები შევიკრიბენით და დავადგინეთ შემდეგი: 1) ზიზღს ვუცხადებთ იმ რაზმელებს, რომლებმაც ჩაიდინეს საზიზღარი მკვლელობა ამხანაგ ნიკა მინდიაშვილის. 2) მოვითხოვთ ცხინვალის ორგანიზაციისაგან, გააცნოს თბილისის ორგანიზაციას იმ რაზმელების სახელი და გვარი, რომლებმაც ჩირქი მოსცხეს წითელ რაზმს და ჩაიდინეს ასეთი ხულიგანობა. 3) ვაფრთხილებთ ყველა ორგანიზაციებს, რომ შემდეგში აღარ მიიღონ პარტიაში, მით უმეტეს რაზმში არა სოციალ-დემოკრატი და შეუგნებელი, რადგანაც არ არის ღირსი, რომ ასეთმა რაზმელმა, როგორიც არის ნიკა მინდიაშვილის მკვლელი, ატაროს რაზმის სახელი, და თავს სოციალ-დემოკრატი უწოდოს.

პროტესტს ხელს ვაწერთ მეხუთე რაიონის მეორე პოდრაიონის რაზმელები.

## სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები და მუშაობა გურიაში

სულ 3—4 წელიწადია მას შემდეგ, რაც შესდგა ფეხი გურიაში სოციალდემოკრატიულმა მოძრაობამ და ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც შესძლო მან ჩათრევა თავის ფერხულში გურიის მცხოვრებლების დიდი ნაწილისა. მთელი ეს სოციალდემოკრატიული მოღვაწეობა გურიაში შეგვიძლია ჩვენ დავყოთ სამ პერიოდათ: **პირველი პერიოდი**—ეს ის დრო არის, როცა სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები ხალხის მიერ კი არ არის არჩეული, არამედ ის დგება ზევიდან და ხალხს მაზე ფანტასტიური წარმოდგენა აქვს; **მეორე პერიოდი**—როცა ეს ფანტასტიური წარმოდგენა ორგანიზაციაზე იდევნება ხალხის გონებიდან და სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები შენდება ძირიდან; **მესამე პერიოდი**—ეს არის პერიოდი სოციალდემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბებისა და ხალხის დიდი უმრავლესობის პარტიის გარეშე დაყენებისა. აი ეს სამი პერიოდი განვლო სოციალდემოკრატიულმა ორგანიზაციამ გურიაში.

განვიხილოთ ეხლა ცალ-ცალკე თითოეული ეს პერიოდი.

**პირველი პერიოდი,** როგორც ზევით გითხარით, დახასიათდება მით, რომ სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები შენდება ზევიდან. უმთავრესი მოღვაწეობა ამ ორგანიზაციის იმაში მდგომარეობს, რომ უწევს ხელმძღვანელობას ხალხის სტიქიურ მოძრაობას და ცდილობს ეს სტიქიური მოძრაობა შეგნებულ მოძრაობათ გადააქციოს. ამ დროს გურიის ორგანიზაცია აგიტაციითა და ფურცლების გამოშვება-გავრცელებით კმაყოფილდება. არ არის მოწყობილი წრეები და დაბალი ორგანიზაციები, არ იკრიბება შემოწირულება პარტიის სასარგებლოთ. (და თუ ხანდისხან ამა თუ იმ მასიურ კრებაზე კრეფენ ცოტაოდენ ფულს, ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს და მე სახეში ვერ ვღებულობ).

როგორი თვალით უყურებდა მაშინ ხალხის დიდი უმრავლესობა ამ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციას ანუ კომიტეტს?

გურიის ხალხის თვალში „კომიტეტი“ ისეთი კაცია, რომელიც ყველაფერს შესძლებს, რასაც კი მოისურვებს; მან უნდა სულ ახლო მომავალში ძირს ჩამოაგდოს მთავრობა. ის არის ხალხის ერთგული და მოსულა ამ ქვეყნათ, რათა გაანთავისუფლოს ეს მრავალ-ტანჯული ხალხი ასეთ აუტანელ მდგომარეობიდან. ვინც მიენდობა „კომიტეტს“, მისი საქმე წაღმა წავა. ერთი სიტყვით, „კომიტეტი“,—ეს არის ქრისტეს მაგიერი, მხსნელი ამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ტანჯულ ხალხისა. ზოგიერთების შეხედულებით კომიტეტი არის მეფე, რომელსაც თავისი მინისტრები, თავისი ჯარი, თავისი პოლიცია ყავს.

აი ასეთი ფანტასტიური შეხედულების არის ხალხის დიდი უმრავლესობა კომიტეტზე და აქედან აიხსნება ის გარემოება, თუ რატომ ქონდა დიდი ავტორიტეტი და გავლენა მას მასაში.

მარა აი ფართოვდება მოძრაობა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მოძრაობა უფრო შეგნებულ ხასიათს ღებულობს და ცხოვრება ასე თუ ისე დგება ნორმალურ კალაპოტში. არსდება წრეები, ათისთავები, ასისთავები, ირჩევენ საზოგადოებისა და რაიონის წარმომადგენლებს. ხალხი ჩამოშორდა სასამართლოსა და პოლიციას. მარა ხალხს სჭიროდა ეს დაწესებულებანი. მას უნდა შეექნა ახალი მთავრობა, ახალი პოლიცია, ახალი სასამართლო. ეს დაწესებულებანი არ უნდა ყოფილიყო ბიუროკრატიული, არამედ ისინი უნდა ყოფილიყო ხალხური. ნიადაგი ჩაისახა ხალხური მთავრობის, ხალხური პოლიციისა და სასამართლოების. ვის უნდა ეკისრა ყველა ეს მოვალეობანი? რასაკვირველია, მას, ვინც უწევდა ხელმძღვანელობას ხალხს. ვინ იყვნენ ესენი? ესენი იყვნენ ათისთავები და ასისთავები, საზოგადოების თუ რაიონის წარმომადგენლები, რომლებიც ირჩეოდა იმიტომ, რომ კარგათ გაბმულიყო ძაფი ხალხსა და „კომიტეტს“ შორის. აი ეს რაიონული, საზოგადოების, თუ სოფლის ორგანიზაციები, რომელთა არჩევნებში მთელი ხალხი (გარდა ჯაშუშებისა) ღებულობდა მონაწილეობას, ასრულებდა ძველი მთავრობის მოვალეობებს. ისინი არჩევდენ ალებ-მიცემობის საქმეებს, ასამართლებდენ ქურდებსა და ავაზაკებს ყველა ამაში, რასაკვირველია, შეძლებისა და გარემოებისა დაგვარათ მთელი ხალხიც ღებულობს მონაწილეობას. აი აქედან იწყება მეორე პერიოდი პარტიული მუშაობისა გურიაში.

ვარდენ.

(შემდეგი იქნება).

## პროვინციის ქრონიკა

**რაჭა.** რაჭიდან იუწყებიან, რომ იქ აუცილებელი შიმშილია მოსალოდნელი. ხალხმა აღარ იცის რით დააკმაყოფილოს ოჯახის აუცილებელი მოთხოვნები. განიზრახეს მოითხოვონ ეგრეთ წოდებული მაღაზიის ფულები, რომელსაც რამდენიმე წელია იხდიან იმ დაპირებით, რომ შიმშილობის დროს დაგიბრუნებთო.

**ლანჩხუთი.** ლანჩხუთიდან გვატყობინებენ, რომ ბოქ. მიქიაშვილს ვითომ „საიდუმლო აგენტებზე“ დაუხარჯავს საზოგადოების მიერ სამეურნეო სკოლის შესანახათ გადადებული 150 მან., რომ აღნიშნული ბოქაული იჭერს მასი შკვით არა საიმედო პირებს, ახდევინებს „ზადოგათ“ ფულებს და სად მიაქვს ეს ფულები კაცმა არ იცის. მიუხედავათ ამისა და მრავალი ამგვარი უმსგავსო საქციელისა, მიქიაშვილი ჯერაც მოწონებაში ყავს ადგილობრივ მთავრობას.

**ს. ხვარბეთი.** ხვარბეთიდან იწერებიან, რომ იქ ამ დღეებში გარდაიცვალა ამხ. დათა ქარცივაძე. დათა საუკეთესო წევრი იყო განმათავისუფლებელ მოძრაობის და ამიტომ გარისხული უავდათ ზოგიერთ ბობოლა გვარის კაცებს. განსვენებულის დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. პროცესიას მარსელიოზის სიმღერით და მრავალი გვირგვინებით მიაცილებდენ გულდაწყვეტილი ამხანაგები. წარმოითქვა მრავალი გრძნობით სავსე სიტყვა.

**სადგ. ნატანები.** ნატანებიდან გვაუწყებენ, რომ ადგილობრივი სადგურის ბუფეტის გამგეიაკინთე ბოლქვაძე და ნ. ჩიქოვაძე ძლიერ უდიერათ ეპყრობიან ზოგიერთ მგზავრებს. 16 აგვისტოს ღამის ათ საათზე სადგურიდან გარეთ გამოყარეს ორი ბავში და სამი ქალი. სახუმა მისადგბაა ის გარემოებაც, რომ ამ დროს ძლიერი წვიმა იყო და ყველა დუქნები დაკეტილი. საინტერესოა ვიცოდეთ, რით ხელმძღვანელობდენ ბ-ნი ბუფეტჩიკები, როცა პასაჟირებს გარეთ ერეკებოდენ.

**ს. ამაღლება** (გურია). ამაღლებიდან გვაცნობებენ, რომ იქ ხელში ჩავარდნიათ ერთი ცალი იმ ფურცლისა, რომელიც ვითომც აღნიშნულ სოფლის სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის გამოეცეს. იწერებიან, რომ ამაღლებაში არავითარი ფედერალისტური ორგანიზაცია არ არსებობს და რატომ შეიწუხეს თავი ფურცლის ავტორებმა და რისთვის გასწიეს ამდენი ხარჯი.

**თელავი.** თელავიდან გვატყობინებენ, რომ 16 აგვისტოს იქ ბევრი სახლები გაუჩხრეკიათ. ქალაქის უბნებს ჯარი ერტყა და ბოქაული კანკოვი განაგებდა. განსაკუთრებით დაუძებდენ გიორგი ხირსელს. შვილის მაგიერათ დაატყვევეს მამა, კოტე ხირსელი. გარდა ამისა დაიჭირეს 30 კაცი და ქალი. ქალები ყველა გაანთავისუფლეს, ხოლო კაცებთაგან ზოგიერთები თელავის სატუსაღოში წაიყვანეს, ჯაშუშები გამოძვრნენ. 19 აგვისტოს სამხედრო წესები გამოაცხადეს. 23 დაიწყეს იარაღების გროვება, ყანგიანი შამფურებიც კი აღარ დასტოვეს. სოფლის ჯაშუშებმაც მოკიდეს მოღვაწეობას ხელი. ვინ მოსთვლის რა და რა ჭორებს არავრცელებენ. ამ ჭორებით ხალხის მეშინება და გაკოტრებული ხაზინის შევსება უნდათ. მიუხედავათ ამგვარი ხულიგანური ზღაპრებისა, ხალხი მაინც მაგრათ არის.

## პროვინცია.

**ლეხურის ხეობა.** (დუშეთის მაზრა). გათახსირებულმა მთავრობამ ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა ჩვენი ჯავრი, თუმცა დიდი ხანია კბილებს ილესავს. საერთო რეაქციის დროს ჩვენს ხეობასაც ესტუმრენ კაზაკთა რაზმები გადასახადის ასაკრეფათ. სოფ. ვანიდან წამოასხეს საქონელი და წაიღეს რაც კი მოეწონათ, მაგრამ უკან დაბრუნებულებს გზაში დაუხვდა ნაწილი წითელი რაზმისა და ნადავლი დაატოვებინა. მას აქეთ ვერ მოუნელებია მთავრობის მოხელეებს ეს ამბავი და ცდილობენ რამენაირათ სამაგიერო გადაგვიხადონ. მას შემდეგ, რაც ახალგორში ყოფილი მეჯარისხევის ბოქაული გადმოიყვანეს, მიზანს ადვილათ მიაწევენ. მან ყველაზე უწინ სტრაჟნიკებზე მიიტანა იერიშა და სასტიკათ დატუქსა ისინი. სტრაჟნიკები უმეტეს ნაწილათ ადგილობრივი მცხოვრებნი არიან. მუქარამ უქმათ არ ჩაუარა და ზოგი მათგანი ხელს უწყობს გზებისა და საეჭვო პირების აღმოჩენაში სახელოვან ბოქაულს.

16 აგვისტოს გზის მზვერავ სტრაჟნიკებს, ეგრეთ წოდებულ „უელებში“ (დიდი ტყე) შეხვედრია სამი ცხენოსანი რაზმელი და მათთვის იარაღი აურია. ამან გააბრაზა ბოქაული და ორი დღის შემდეგ გვესტუმრა 60 კაზაკის თანხლებით. თანვე ახლდათ სხვა წარჩინებულ პირთა შორის ის ორი იარაღ აყრილი გმირებიც. დაიბარეს მამასახლისი და მოსთხოვეს ცხენების ურიდობა მოეხდინა. ცხენები მართლაც ბლომათ მორეკეს, მაგრამ ის სამი ცხენი, რომლებზედაც რაზმელები ისხდენ, არ აღმოჩნდა ურიდობაში. ბოლოს ეჭვი მიიტანეს ერთ ცხენზე და პატრონიანათ დაატყვევეს, მაგრამ ორი დღის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს.

21 აგვისტოს რაზმი ს. წადლს გაემგზავრა, რადგან აღნიშნული ტყე ამ სოფლის მახლობლათ მდებარეობს. წადლელებს გამოუცხადეს, რომ თუ ერთი კვირის ვადაში დამნაშავე პირებს არ აღმოაჩენთ, „ეგზეკუცია“ ჩამოგიდგებათო და გაუდგენ გზას.

არ გაუვლია ერთ კვირას, რომ მოულოდნელათ და ისიც ღამით, ბოქაული თავისი რაზმით მოადგა ს. წირწვარს, სადაც თურმე რაზმელები ეგულებოდა. გაჩხრიკეს ორიოდე სახლი, მაგრამ, რადგან ვერაფერი აღმოაჩინეს, წამოვიდენ ეგრეთ წოდებულ „კუნელას დუქანში“, რომელიც მათი ჩვეულებრივი თავშესაფარია. გზაში ერთი მექვაბე დაიჭირეს და ცემით კინაღამ მოკლეს. აქაც გაჩხრიკეს სამიოდე სახლი და რომ ვერაფერი აღმოაჩინეს უკან გაბრუნდენ. ამ წანწალში ბოქაულს და მის ამალს ძლიერ მოშივდათ და გლეხებს შეუთვალეს, სადილი დაგვახვედრეთო. სოფლელებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და პრისტავი საღამომდე მშიერი ბრძანდებოდა. ასეთი ურჩობით გაბრაზებულმა ხალხს კომლზე თითო ჩანახი ქერი და თითო აბაზი ფული შეაწერა. ამ ნადავლით უბრძანა მამასახლისს კარგი სადილის გამართვა. გლეხებმა საღამომდე იცადეს ურიდობაზე, მაგრამ რადგანაც ბოქაულის ჭიუტობას დასასრული აღარ უჩანდა, თავისი ნებით წავიდენ სახლში. ამან, რასაკვირველია, მთლათ დავთარი დაუკარგა საბრალო ბოქაულს და მეორე დილით ხალხი ბაკში შერეკა. მამასახლისს უბრძანა კაზაკებისთვის ძროხა დაეკლა, რადგან ცხვრის ხორცმა აწყინა, უბრძანა აგრეთვე კომლზე თითო დედაკაცი მოეყვანა, მაგრამ როცა შეატყო რომ მისი ბრძანება ბრძანებათვე დარჩებოდა უგანსაკუთრელათ დაემუქრა: „წადლელებო! ახლა წავალ, მაგრამ მალე დავბრუნდები და მაშინ გიჩვენებთ ურჩობასო“.

ოსი.

**ველისციხე.** (კახეთი). ყველამ იცის, რომ მთელ კახეთში სამხედრო დროის წესებაა გამოცხადებული. ეს გაიგეს სინოდის მტრებმა და „მომავალი“ ერთი ორათ გააზვიადეს. ზოგი ამბობს, „აბა ნახეთ ახლა სოციალ-დემოკრატების გამუსვრა-ო“,... „გურიაზე უარეს დღეს დაგვაყრიან, აი ეს შეგვმატეს სოციალისტებმა-“ო და სხვა... მიუხედავათ ამისა, ხალხი მაინც მარცხნივ იწევს... პრაპაგანდისტების გაცემაზე უარი თქვეს: იუდები არა ვართ, ჩვენ სოციალისტები არაფერს გვიშავებენო; ეს მაშინ, როდესაც სიღნაღის მაზრის უფროსი სოფელს ეგზეკუციით ემუქრებოდა, თუ პრაპაგანდისტების ვინაობას არ ეტყოდენ.

ამ ბოლო დროს ჩვენში ზოგიერთი ქალები გამოვიდენ ხულიგან-ექსპროპრიატორთა როლში. ვურჩევთ აღნიშნულ ქალბატონებს თავი გაანებონ ამგვარ საქციელს, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით გაზეთის საშუალებით ვაუწყოთ მთელს საზოგადოებას მათი ვინაობა მათივე მოქმედების აღნუსხვით.

ამ რამდენიმე თვის წინეთ ჩვენებურმა ვაჭრებმა „ზევიდან“ უბოძეს თავიანთ ნოქარ-შეგირდებს უქმეებში ნახევარი დღით თავისუფლება. (დილიდან საათის 12-მდე ვაჭრობენ და მერე კი ხურავენ სავაჭროებს.). სიმართლე რომ ვთქვათ, ადები „რიხიანათ“ იქცეოდენ; მაგრამ ეს რიხიანი მოქცევა მხოლოდ გულბრყვილოებს სწამდათ. და თუ შიგ საქმეში ჩავიხედავდით, სინამდვილე სულ სხვას გვაჩვენებდა. დიახ, ვაჭარ-ხელოსნები ხურავდენ სავაჭრო სახელოსნოებს, მაგრამ ნოქარ-შეგირდები?... ნოქარ-შეგირდებს ან სახლებში და ან თუ არა სხვა რამ საქმეებზე ამუშავებდენ ადები. ამის მაგალითები ბევრია. ესეც არ მოეწონა ახლათ მოვლენილ „ჩვენ“ პრისტავს და გამოუცხადა მოვაჭრეებს: დღეიდან აღარ გაბედოთ დაკეტვა თორემ დაგაჯარიმებთო. მედუქნეებსაც ეს უნდოდათ. ამ კვირას მთელი დღე „ძველებურათ“ ვაჭრობდენ.

დროა თვითონ ნოქარ-შეგირდებმა დაანახონ თავიანთ ადებს, რომ მათაც სწყურიათ თავისუფლება. ამას წინათ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენა გაიმართა. საზოგადოება ცოტა დაესწრო. წასულ კვირას ჩამოვარდა კაკლიდან 70 წლის მოხუცი სვიმონ დარიბაშვილი და იქავე გარდაიცვალა.

მუშტი.

## მ უ შ ა თ ა შ ო რ ი ს.

**თფილისის მზარეულების (ხარშოვნიკების) მოთხოვნები:** 1) ხაზეინებმა დაუკლონ სამზარეულოს ქირას მანეთზე ექვსი შაური, წინააღმდეგ შემთხვევაში დახურონ თავისივე სამზარეულო; 2) თუ ხაზეინი უმიზეზოთ დაითხოვს მზარეულს,ვალდებულია მისცეს სამი თვის ქირა; 3) სამიკიტნოში შემოსულ მუშტარს, ხაზეინმა უნდა მისცეს მარკა და საღამოს ანგარიში გაუსწოროს მზარეულს; 4) ჭურჭელი უნდა იყოს ხაზეინისა და გარეშე პირი, ვინც ბინაზე წაიღებს საჭმელს, სტოვებს ჭურჭლის ქირას; 5) ფერნიდან ხორცის შიტანა ხარშოვნიკის მოვალეობას არ შეადგენს და უნდა ასრულებდეს დუქნის ბიჭი; 6) წვნიანი კერძი შვიდ კაპეიკათ, ხოლო მეწვარი ხორცი შაურისა არ გაკეთდება; 7) მწვადის შეწვა ედირება 5—15 კაპ.; 8) სირაჯს, რომელსაც ქურა არა აქვს, ნება არ ქონდეს მუშტარს უფასოთ შეუწვას წვადი; 9) ხარშოვნიკებს უნდა ეძლეოდეთ ორი „სმენა“; 10) სამზარეულოს დამქირავებელს თუ წასვლა უნდა, ხაზეინს გადაუხადოს 2 კვირის ფული წინ და წინ; 11) ნავთი და წყალი სამზარეულოში ხაზეინის ხარჯზე უნდა იყოს; 12) ზრდილობიანი მოპყრობა; 13) მზარეულთა მოსამსახურეების დათხოვა-მიღება ჩვენივე საქმე იყოს.

თფილ. მზარ. (ხარშ.) კავშირი.

**კარაპეტ კარაპეტოვის ქარხანა.** სტოლიარების გაფიცვა დასრულდა. ხაზეინმა დააკმაყოფილა შემდეგი მოთხოვნები: 1) ჯამაგირის მომატება, 2) გაფიცვის ფულის (ნახევარის) მიცემა; 3) შეგირდების სრული დაკმაყოფილება.

## მწიგნობრობის საქმე ქუთაისში.

ქუთაისის სამეურნეო ამხ. „კოლხიდის“ კანტორაში, წიგნის მაღაზიების პატრონებს მოლაპარაკება ქონიათ 3 ენკენისთვეს, იმის შესახებ, გაალონ თუ არა მაღაზიები კვირა-უქმე დღეებში. ამ მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ

რომლისაგანაც წინააღმდეგობა ხვდებოდა აბსოლიუტიზმს, იყო პოლონეთის მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის, და ამიტომ პოლონეთის საქმეც გადაიქცა მთელი ევროპის დემოკრატიის საქმეთ. მაშინ ყველა ქვეყნის დემოკრატებს პოლონეთის დამოუკიდებლობა აბოდებდა; და ამიტომაც ყოველ რევოლიუციონურ ბრძოლის დროს, რომელ ქვეყანაშიაც უნდა მომხდარიყო ის, დემოკრატების რაზმში იბრძოდენ პოლონელებიც.

ეხლა რუსეთის აბსოლიუტიზმის ენერგიულ და საშიშ მოწინააღმდეგე ძალას აღარ შეადგენს პოლონეთის მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეხლა მისი ადგილი დაიჭირა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ყველა ერის პროლეტარიატის კლასიურმა ბრძოლამ. წინანდელი საერთაშორისო მნიშვნელობა პოლონეთის ბრძოლისა და ის ენტუზიაზმი, რომელსაც იწვევდა ოდესღაც ეს ბრძოლა საერთაშორისო დემოკრატიის გულში, — ყველაფერი ეს ეხლა ეკუთვნის მთელი რუსეთის პროლეტარიატის განმათავისუფლებელ ბრძოლას. მარა ეხლანდელი ბრძოლის მნიშვნელობა გაცილებით მეტია იმაზე, რომელიც ქონდა განვლილ წლების ბრძოლას პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის; ამავე დროს ბრძოლაც უფრო ძნელი შეიქნა. წინეთ რუსეთის აბსოლიუტიზმს გავლენა ქონდა მარტო რეაქციონურ მთავრობებზე, ლიბერალური ბურჟუაზია კი რევოლიუციონურ დემოკრატიასთან ერთად მთლათ მის მოწინააღმდეგეთა რაზმში იდგა,—ეხლა, როგორც ვხედავთ, ის გადაიბირგა ცარიზმის ბანაკში. საფრანგეთის და ინგლისის ლიბერალიზმი, რომელიც ასე თანაგრძნობით ეპყრობოდა წინეთ პოლონელებს, ეხლა აბსოლიუტიზმს მისი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღს აძლევს.

არც ერთი ევროპიული სახელმწიფოს ლიბერალიზმის იმედი არ შეუძლია იქონიოს რუსეთის განმათავისუფლებელმა ბრძოლამ; მხოლოდ ერთათ-ერთი საერთაშორისო პროლეტარიატი სავსებით წინააღმდეგია რუსეთის აბსოლიუტიზმის, მასში ხედავს თავის საშიშარ მტერს, რუსეთის პროლეტარიატში კი თავის მოწინავე მებრძოლს, რომლის გაპარჯვება ძლიერ დახმარებას აღმოუჩენს მის საკუთარ განმათავისუფლებელ ბრძოლის საქმეში.

დიდია რუსეთის პროლეტარიატის მიერ მოპოებული მნიშვნელობა, მარა ძლიერ ძნელია მისი ბრძოლა. რომ მებრძოლის ძალა ასრულებდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, საჭიროა დაუღალავი მუშაობა ამ ძალების გასამრავლებლათ. საჭიროა, რომ მუდმივ მატულობდეს პროლეტარიატის გამოცდილება, იზრდებოდეს მისი ცოდნა, ფართოვდებოდეს მისი ორგანიზაციები.

თუ საჭიროა, რომ რუსეთის პროლეტარიატმა გაიგოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლაში თავისი დიდი მნიშვნელობა, ეს საჭიროა არა იმისთვის, რომ მასში გამოვიწვიოთ თვითკმაყოფილება, არამედ იმისთვის, რომ გავამრავლებინოთ მას მისი ძალები ამ მნიშვნელობის შესაფერათ. საჭირო და სასარგებლოა ამ მიზნისთვის ყველაფერი ის, რაც დაეხმარება პროლეტარიატს მისი ცოდნის გაფართოებაში, მისი მასიური ორგანიზაციების გადიდებასა და გამაგრებაში.

ორი—ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“ და წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის „კითსკის“ მოიჯარადრე გ. გადილას წარმომადგენელი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მათ შეუძლებლათ მიაჩნიათ კვირა-უქმე დღეებში მაღაზიის დაკეტვა.

ამ შემთხვევაში, კანტორა „კოლხიდის“ გამგე იმათ ხელმძღვანელობდა, რომ მას წიგნის მაღაზია, სხვათა შორის აქვს მოწყობილი კანტორაში. მისი კანტორის სპეციალური დანიშნულებაა ჟურნალ-გაზეთების ხალხში გავრცელება. ამასთვის იგი თავის ინტერესებთან ერთათ ემსახურება რა საზოგადოების ინტერესებს—აწვდის რა მის მკითხველ ნაწილს ჟურნალ-გაზეთებს მუდამ თავის დროზე, შეუძლებლათ ცნობს თუნდაც კვირა-უქმე დღე დახშოს მკითხველს კარები. მეორე, ხანდახან მესამე დღემდი აცდევინოს, როგორც ერთი მოწინააღმდეგე, დაინტერესებული კოლეგა ამბობდა. მეორე-მესამე დღეს და ისიც დღევანდელ ხანაში ვის რათ უნდა გაზეთი!..

„კითსკის“ წარმომადგენელი კი იმით ხელმძღვანელობდა, რომ მას საქმე დღეებში იმდენი ვაჭრობა არ აქვს და უქმი დღეებშიც, როცა ქუთაისის ბულვარში აუარებელი ხალხი იყრის ხოლმე თავს, მაღაზია რომ დაკეტოს, მაშინ ხარჯებს ვერ აუვა და იძულებული იქნება დახუროს იგი.

აი ამ მოსაზრებით და იმის გამოც, რომ თუ კი კვირა-უქმე დღეებში კუჭის საზრდო—ტრახტირები, რესტორანები, სამიკიტნოები და სხვა ამგვარები არ იკეტება, რატომ ასე დაჟინებით მოითხოვენ გონების საზრდოს სალაროს დაკეტვას და ისიც ახლა, როცა ასე მ და აღძრულია მკითხველი ამ საზრდოზე.

წინააღმდეგი აზრისანი იყვნენ ორი წიგნის მაღაზიის პატრონი გ. ბეჟანეიშვილი და ი. ხუთერელი, რომელთაც, მართლა, სპეციალურათ სახელმძღვანელოების, საკანცელარიო ნივთების და აგრეთვე ისე საკითხავი წიგნების მაღაზია აქვთ ქუთაისში, ხოლო გაზეთებას აპერაციას მათთვის არაფერი ხეირი მაუცია და ამისთვის მაზე ხელი აუღიათ.

ისინი იმ აზრს დაადგნენ, რომ თუ თქვენ არ გიშლიან და აღებთ მაღაზიას და კანტორას, ჩვენც უნდა გავაღოთ, თუ არა და ყველამ დავკეტოთ. ეს აზრი მოუწონეს მათ, ამ საგანგებოთ დაინტერესებულ კრებისათვის მათ მიერ მოწვეულმა სამმ. წიგნის მკინძავ-მეუდეებმა, რომლებიც, უეჭველია, კაპეიკებმა აალაპარაკა დღეს, და არა აქამდი. ამათ ხომ ზნეობრიობასაც კი წამოკრეს ხელი და მოპირდაპირეთ უთითებდნენ, ჩვენ მწიგნობრები უნდა ვიყოთ სხვების სამაგალითოთ და სხვა. ჩვენ ყველამ დავკეტოთ მაღაზიები და თუ ჩემ მუშტარს „ძელა-ენის“ საყიდლათ კვირა უქმე დღეებში დაკეტილი დახვდება მაღაზია, იგი ხვალ-ზეგ მაინც მოვა ჩემთან და შენთანაც, დღეს რომ არ დახვდება გაზეთი, ხვალ ან ზეგ მოვა.

სწორეთ ნამდვილი მწიგნობარი უთქვიათ ეს ასე მომსჯელე მემაღაზიე თუ მეუდე მოპირდაპირენი. ნუ თუ მეტი ვერაფერი გამოიტანეს ამ წიგნებიდან და გაზეთებიდან, რომელთაც დღეში ათასჯერ შეავლებენ ხელს!

„კოლხიდის“ კანტორის გამგემ ის. ბგიტარიძემ, დაინტერესებულ პირთ შორის რომ დავა არ გამწვავებულიყო, კრებას წინადადება მისცა ეს საკითხი საზოგადოებამ გადაწყვიტოს ან გაზეთში თავის აზრის გამოთქმით, ან განგებ ამისათვის მოწვეულმა საზოგადოების წევრებმა. მათ გამოთქვან თავის აზრი და შემდეგ დაადგინონ, საჭიროა თუ არა ჟურნალ-გაზეთების კანტორის და წიგნის მაღაზიები კვირა-უქმე დღეებში გაღებული იყოს? საზოგადოების მოთხოვნილებას კი ყველანი გაღებულნი იქნებიან დაემორჩილონ და მაშინ წვრილმან შურიანობას ადგილი აღარ ექნება. აი ამ აზრს დაადგა მწიგნობრობის ქუთათური წარმომადგენელნი 3 კნ-გენისთვის კრებაზე, რაზედაც ორთავე მხარე შეთანხმდნენ და უცდიან საზოგადოების მსჯავრს.

ისო

# რუსეთის ამბები

**დამსჯელ რაზმების მოქმედება.** სტავრ. გუბ. სოფ. კაგუტის დანგრევაზე შემდეგს იწერებიან: გენ.-მაიორი ლიტვინოვი მოვიდა ოთხი ზარბაზნით და ასი კაზახით, მოსხდინა ურადნიკი და მოითხოვა, მოეცით გლეხთა კომიტეტი და მონაწილეების ქაღალდზე ხელი მოაწერეთ. გლეხებმა უარი თქვეს. ჯარმა ორჯელ გაისროლა გაუტენელი ზარბაზანი. ამას შემდეგ ბიძეგ შეკრიბეს გლეხები, რომლებიც მაინც უარზე იდგნენ. მაშინ სოფელს 18-ჯერ ესროლეს ზარბაზანი. დაინგრა და გადაიწვა ბევრი სახლი. მცხოვრებლებმა სხვა სოფლებს შეაფარეს თავი.

**გლეხები პოლიციის იარაღს ყრიან.** ვიატკის გუბ. კაიგოროდის უიეზდში 150 გლეხმა მიტინგი გამართა. 28 მათგანი შეაიარაღებულიყო სანადირო თოფებით. კრებაზე გამოცხადდნენ ურიადნიკი და 5 სტრაჟნიკი. ექიმ სოკოლოვის ჩაგონებით გლეხებმა მათ უბრძანეს, იარაღი დაყარეთო, და განაცხადეს, ამიერიდან კაიგოროდში პოლიცია აღარ არსებობსო, უფლება ხალხის ხელში გადადისო. პოლიციელებმა დაინახეს, რომ ვერ გაუმკლავდებიან გლეხებს, დააწყეს ხმლები, თოფები და რევოლვერები სტოლზე და სოფლიდან წავიდნენ. ეს ამბავი ეუწყა პროკურორს და ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს.

**პოლიციის დეპარტამენტმა** ყველა საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოებს უბრძანა, ყველა პოლიტიკური საქმეების გარჩევა 15 სექტემბრამდის უნდა გაათავოთო.

**მთავრობას თავის მსახურნიც ღალატობენ.** ამ დღეებში დაუპატიმრებიათ კურიერი შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რომელიც თურმე რევოლიუციონურ ორგანიზაციებს აწვდიდა ყველა ცნობებს.

**დურნოვოს პორტფელი დაკარგულა.** პოლიციის დეპარტამენტის ერთს აგენტს, რომელიც დურნოვოს დასაცველათ იყო მიჩენილი, ბერლინში დაუკარგავს პორტფელი, რომელიც მნიშვნელოვან დოკუმენტებს შეიცავდა. პორტფელში იყო დურნოვოს მარშრუტი რუსეთში დაბრუნებისა; იქვე ჩამოთვლილი იყო რომელი აგენტები უყარაულებენ დურნოვოს გზაში. პორტფელის დაკარგვამ დურნოვო აიძულა სხვა დროს და სხვა გზით დაბრუნებულიყო.

**სიმართლის აღდგენა** გუშინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა გაზეთების ცნობა, ვითომც კადეტების პარტიისთვის შვეციის მთავრობას აეკრძალოს სიეზდის გამართვა. ახლა გაზეთები იუწყებიან, ეს მოგონილი ჭორიაო.

**მუშათა სიეზდის** გამართვის ინიციატორებს განუცხადებიათ, სიეზდი უნდა **ლეგალური** იყოს და გაიმართება მაშინ, როცა პოლიტიკური პირობები ხელს შეგვიწყობენო. სიეზდი იქნება უპარტიო. არჩევნება სრულ დემოკრატიულ საფუძველზე მოხდება. სიეზდის იდეა მენშევიკების ფრაქციამ წამოაყენა. ამ სიეზდის მიზანია—ერთი მხრით, მოისპოს ფრაქციული განხეთქილება, მეორე მხრით—მუშათა კლასის მოქმედებას შეთანხმება. სიეზდისგან მოელიან პარტიის განახლებას და გაღრმავებას. სიეზდის იდეას აღტაცებაში მოყავთ მუშები. ბოლშევიკები არ თანაუგრძნობენ სიეზდის იდეას: ეშინიათ, გაი თუ სიეზდმა დამოუკიდებელი მუშათა პარტია შექმნასო. სიეზდის მოწვევას დუმის მოწვევასთან ერთათ ფიქრობენ. სხვა პარტიები თანაუგრძნობენ სიეზდს.

### პასუხათ ვარდენ გვენცაძეს.

თქვენ სამედიატორო სამართალში მიწვევთ იმის გამო, რომ ვითომ ჩემი „უტაქტიკო მოქმედებით“ „ამხანაგების თვალში“ თქვენ, როგორც ჩემთან მომუშავეს, ჩირქი გეცხებოდეთ და სხ. კეთილი, მაგრამ რა ვქნათ, რომ ცხოვრების პირობები ხელს არ მიწყობს და ჩემთვის შეუძლებელია სამედიატორო სამართალში გამოყოლა. სად მე, სად შენი მედიატორეები და სად მოწმეები? მე სამედიატორო სამართალში გამოყოლა შემიძლია მხოლოდ ერთი პირობით: რადგანაც ყვირილის რაიონის ამბები ჯერ სიმართლის შუქით გაუნათებელია, ბევრი რამ მოჰორილი გაზეთების ფურცლებზე სინამდვილეთ გასაღებულია, და სიმართლე აღსადგენია, მით უმეტეს, რომ ამხანაგების თვალშიაც ამ ქორებს ჯერ გასავალი აქვს, ამის გამო ჯერ ნება მომეცით პრესის საშუალებით გამოველაპარაკოთ, ჯერ გაზეთის ფურცლებზე გადმოვიტანოთ მთელი საქმის გარემოება. დაე, მსაჯულათ ქვეყანა იყოს, ყველა ამხანაგები და არა თითო-ოროლა კაცი. მხოლოდ, გთხოვთ, რომელი ფაქტიც არ მოგეწონოთ, ის აღნიშნეთ, მხოლოდ იმ ფაქტის სინამდვილის აღსადგენათ დავეთანხმები საამხანაგო სამართალზე.

მაშ, ნახვამდის. პასუხს ველი.

აფრასიონ მერკვილაძე.

### ღია წერილი

სერგო მელვინოვს!

თქვენ ისარგებლეთ ჩემი გაჭირვებით და ასი მანეთის ვალში ხელში ჩაიგდეთ ცხრას თუმნათ ღირებული ჩემი მ მელი. მოგმართავ წინადადებით; ავირჩიოთ შვიდ-რვა კაცისგან შემდგარი სამედიატორო სასამართლო, რომელიც გამოიკვლევს საქმის გარემოებას და დაადგენს განაჩენს. რომ განაჩენს ძალა დაურჩეს, საჭიროა დავდვათ წერილობითი პირობა, რომ მედიატორების გადაწყვეტილებას ორივე დავემორჩილებით. თქვენ პასუხს გელოდებით ორ დღეში.

მაკა თუმანოვისა.

### წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნ რედაქტორო!

კაი ხანია მას აქეთ, რაც მე თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან ადგილი ავიღე ბაღის გასაშენებლათ იმ პირობით, რომ ბაღი უნდა გამეშენებია ოთხ წლამდე. თავ. მუხრანსკის უნდა ეძლია ჩემთვის ჯამაგირი წლიურათ თუთხმეტი თუმანი, ხარჯი და შემოსავალი სანახევრო უნდა ყოფილიყო. მთელი ჩემი ძალღონე ვიხმარე, მრავალი ხარჯი გავწიე და პირველ წელიწადსვე გავაშენე ბაღი. შემდეგ თავ. მუხრანსკიმ მე დამითხოვა და არავითარი დაპირება არ შემისრულა. მას შემდეგ ივ. მუხრანსკი გარდაიცვალა, მისი ქონება დაიმკვიდრა კნ. ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა, ივ. მუხრანსკის რძალმა. ამ კნეინას მე სამჯერ წერილით ვთხოვე დაკმაყოფილება და ვერც ერთხელ პასუხს ვერ ვეღირსე. აი ამან მაიძულა გაზეთის საშუალებით გამომექვეყნებია ეს ამბავი.

მებაღე მიხელ გიორგისძე ღლონტი.

გაზეთ „შრომის“ 94 ნომერში მოხსენებული იყო, 66 კაცი ბოიკოტს მიცხადებს ცილის წამებისათვის; ამის გამო ბოდიშს ვიხდით მათთან და ვთხოვ გამომიხსნან ამ სასჯელისაგან და ამხსნან ბოიკოტი.

საქულ მისაილოვი.

გაზეთ „გრიგალის“ №-2 თქვენი კორესპონდენტი „მიხეილოვი“ ცილს მწამებს მე, ვითომ გამოეცხადებინათ ჩემთვის ბოიკოტი ჯაშუშობის გამო, და ამის ახსნისთვის შემესყიდოს დეპოს მუშები. სიმართლის აღსადგენათ მოვითხოვ სამედიატორო სასამართლოს წინაშე ფაქტებით დაამტკიცოს თავისი ბრალდება: 1) ვის ვუჯაშუშე და ვინ დაიჩაგრა? 2) რით ვეწინააღმდეგები მოძრაობას? 3) ვინ შევისყიდე და ვის რა მივეცი? მედიატორებათ ვნიშნავ ვლ. ჩიქოვანს და გიორგი ჩარხიშვილს (ალავერდოვს). პასუხს ველი ერთი კვირის განმავლობაში.

ლადო გრძელოვი.

ნება მომეცით გამოვიწვიო საამხანაგო სამართალში ამხ. ეფრემა შემდეგ საქციელისათვის: 1) ხულიგანი და ყაჩაღები უწოდა კრებას და კრების წევრებს. 2) ცილი დაგვწამა ზოგიერთ პარტიის წევრების წინაშე და გვიწოდა დეზორგანიზატორები. 3) გაამრავლა პროტესტანტები პარტიაში, რითაც ხელს გვიშლის პარტიულ მოქმედებაში და დღემდე შეჩერებულია ჩვენი მოქმედება. დღეიდან ხელს ვიღებ პარტიულ მოქმედებაზე და პასუხს არ ვაგებ არავითარ პარტიულ საქმეებში მანამდე, სანამ პარტია მსჯავრს არ დასდებს ჩემს და ეფრემას მოქმედებას. ჩემის მხრივ ვნიშნავ მედიატორებათ: ამხ. ალექსანდრეს და ამხ. ვანოს. პასუხს ველი სამ დღეში.

კოწია № 1.

### „გრიგალის“ ფოსტა.

**ალ. მხეიძეს.** თქვენ ღია წერილს აფრ. მერკვილაძის მიმართ, რომლის უტაქტიკო მოქმედებას აბრალებთ შორაპნის მაზრაში მომხდარ სხვა და სხვა უბედურებას და რომელსაც ამისათვის შორაპნის მაზრის მცხოვრებთა სახელით ზიზღს უცხადებთ, ვერ დავბეჭდავთ, რადგან რედაქციისთვის საქმის ვითარება გამოურკვეველია და ამასთან თქვენს წერილში არა ჩანს, რომ ზიზღის გამოცხადება მონდობილი გაქვთ მაზრის მცხოვრებთაგან. უკეთესი და საჭიროც იყო, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია მოგვაწოდებდეს გამოსაქვეყნებლათ თავის აზრს მერკვილაძის მოქმედების შესახებ.

**სოვ. სივდაძეს.** ვწუხვართ, რომ პარტიების ავკარგიანობაში აქამდე ვერ გარკვეულხართ. ეცადეთ გაერკვიოთ,—თქვენს „უპარტიო“ წერილს კი „რა ვაკეთოთ დღეს“, ვერ დავბეჭდავთ.

**„ერთ ვინმეს“.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

10 სექტემბერი.

**ბათომი.** გუშინ დზანგულის მაზუტის გამყვანს, რომელსაც დიდძალი ფული მიქონდა, თავს დაესხნენ მძარცველები, წაართვეს მხოლოდ 300 მანეთი, დასჭრეს გამყოლი და მიიმალნენ.

**ვილნო.** ანტოკოლის ქუჩაზედ ონას პოლკის კაზაკებმა დაიჭირეს მათთან მასული აგიტატორი და პოლიციას გადასცეს.

**ვილნო.** (11 სექტ.) გუშინ დაიჭირეს კრებაზე 39 კაცი, იპოვნეს საყურადღებო საბუთის ქაღალდები, რომელიც სამხედრო-რევოლიუციო ორგანიზაციებს შეეხება.

**ლოძი.** თავს დაესხნენ ბრუსის გმინს, ბრუსი დანით დასჭრეს. დღეს სოფ. პროკიცში მოკლეს საერობო დარაჯი.

**რიგა.** საღამოს ვენდენსკის და რეველსკის ქუჩის კუთხეში რევოლვერის ექვსი ტყვიით მოკლეს ელექტრონის ტრამვაის კონტროლიორი. დაიჭირეს მუშა.

**კელცი.** სამხედრო საველე სასამართლომ სოფ. ადომაშევიცის გლეხის ექვს მკვლელს დახვრეტა გადაუწყვიტა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

**ტამბოვი.** ნაშუადამევის პირველ საათზე სამმა ბოროტგამზრახველმა რევოლვერით მსუბუქათ დასჭრა ქალაქის ბოქაული კომესია და მისი ცოლი, მძიმეთ დასჭრეს გოროდოვოი მატვეევი, და დარაჯი ჟუკოვი. მსროლელნი მიიმალნენ.

**სოსნოვიცი.** გუშინ სოფ. დემბოვაგურაში პოლიცია და კაზაკები თავს დაესხნენ მუშების კრებას. ატეხა სროლა. მოკლულია ორი მუშა, ერთი დაიჭრა, ოთხი მუშა და ერთი ქალი დაჭრილია. დაჭრილებს ბრაუნინგის რევოლვერები და პროკლამაციები აღმოაჩნდათ.

**იარანსკი.** სოფელ კრივოზერიეში გლეხები თავს დაესხნენ მემამულე გოლოვას და ძალზე სცემეს. გოლოვამ რევოლვერი ესროლა და რამდენიმე დასჭრა. გაიგზავნა დარაჯები. დამნაშავეები დაიჭირეს.

**სტოკჰოლმი.** საღამოზე დაიჭირეს წითელი გვარდიის წინამძღოლი ლიუსტ, ვესტბანდის ქუჩაზე, სადაც ყუმბარების ქარხანა აღმოაჩინეს.

**ხარკოვი.** რამდენიმე ბოროტგამზრახველნი თავს დაესხნენ რიასნინსკის მონასტრის ბერ-მონაზონს, გაძარცვეს და გაიქცნენ.

**კიევი.** სამხედრო საველე სასამართლომ გლეხ შრაპს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა სოსნოვიცკის მაზრის ბოქაულის მოკვლის განზრახვისათვის.

**სიმფეროპოლი.** ოთხმა ბოროტგამზრახველმა შაპოვალოვის მ დაზიიდან გაიტაცა 12200 მანეთი.

**რიგა.** ალექსანდროვის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონს ყუმბარა ესროლეს. ყუმბარა ვაგონიდან რამდენიმე ნაბიჯზე გასკდა. არავინ დაშავებულა. მსროლელი დასჭრეს სალდათებმა და დაიჭირეს; დაჭერის დროს რევოლვერით სალდათი დასჭრა. ის ჩენსტოხოვის მეშჩანინი ადამუსი აღმოჩნდა. ის სამხედრო-საველე სამართალში მისცეს.

**პეტერბურგი.** ბოიკოტის წინააღმდეგ საბრძოლველათ მრეწველთა საზოგადოების კრებამ გადასწყვიტა არ მიიღონ ქარხნებში დახურულ ქარხნების დათხოვნილი მუშები.

**სიზრანი.** გაძარცვეს ვაჭარი ერომაზოვი. წაიღეს ფულათ და ძვირფასი ნივთები სულ 150000 მანეთის.

**ტვერი.** დუმის ყოფილ წევრებს ივანე და მიხაილ პეტრუნკევიჩებს და მედვედევს, გუბერნატორმა საგუბერნიო საერობო კრებაზე დასწრება აუკრძალა.

**ლუგანსკი.** დილის ხუთ საათზე სიკვდილით დასაჯეს ყაჩაღი ჩერნოპატოვი, მის ამხანაგს ყაჩაღ კატორღა გადაუწყვიტეს.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ 15 წლის კატორღა გადაუწყვიტა გერმანიის ქვეშევრდომ ქალს შტოლტცენფარტს და დრაგუნოვს, რომლებსაც ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბორატორია აღმოაჩნდათ.

**ბერლინი.** მანგეიმში გაიხსნა ს.-დემოკრატთა სიეზდი. მანგეიმის დეპუტატმა დრესბახმა და ბებელმა სიტყვები წარმოსთქვეს. თავმჯდომარეთ აირჩიეს ზინგერი და დრესბახი. სოციალ-დემოკრატიული ორგანო „ფორვერტსი“ ამბობს, რომ სიეზდზე უმთავრესი კითხვები იქნება პირველ მაისის დღესასწაულის, საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვის და პროფესიონალურ კავშირების საკითხები. ზოგიერთები თხოულობენ სულ მოიობით იდღესასწაულონ პირველი მაისი, რადგან მუშაობის შეჩერება მოუხერხებელია და კერძო (გაფიცვა?) არა სასურველია. ს.-დემოკრატებას უმრავლესობა არ ეთანხმება ამგვარ შეხედულობას საყოველთაო გაფიცვაზე, იმ ქალის წინააღმდეგ, რომლითაც აღჭურვილა გერმანიის რეაქცია. ასეთი გაფიცვა მიზანს ვერ აღწევს და კლასობრივ ბრძოლის ტაქტიკის წინააღმდეგია.

**ბერლინი.** „კელნიშე ცაიტუნგი“ იტყობინება შტეტინიდან, რომ ბელგოლნას ახლო ორმა რუსეთის გემმა დაიჭირა შვეციის გემი „სკანდინავია“, რომელზედაც აღმოჩნდა 3000 თოფი და მრავალი პატრონი.

რედაქტორ-გამომცემელი ერ. ჩანტლაძე.

## განცხადებანი

გამოვიდა „კოლხიდის“ გამოცემა

ახალი წიგნი დ. კუდრიავსკისა

„როგორ ცხოვრობდენ ძველათ ადამიანები“

თარგ. ს. კვიცარიძისა, ფასი 20 კ.

იყიდება: თფილისში: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და ვ. გადილას წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში „კოლხიდაში“, ყვირილაში პლ. ლეჟავასთან, ჭიათურაში იონა ბელიაშვილთან, სამტრედიასა და ფოთში ძმ. კოხრეიძეებთან, ბათუმში—გაზეთების სააგენტო „ქორიხი“ და მიხ. კალანდაძესთან, ხონში მასიკო ჭელიძესთან, ნაოლალებში პ. გაგუასთან, რაჭა-ლეჩხუმში სადგურებზე: ტოლა—ლ. მახარაშვილთან, წესში ივ. ქიქიძესთან, ონში დავ. კერესელიძესთან და ტყიბულაში მიხ. კბილაძესთან.

ქუთაისის გუბერნიაში ამავე აგენტებთან იყიდება ახლათ შედგენილი „**საქართველოს ისტორია**“ მ. ჯანაშვილისა, ვაზეთები და სხვა საამდროვო ქართული წიგნები.

(4—2) ის. კვიცარაძე

**ქუთაისში** **გამოცდილი მასწავლებელი** (14 წლის პრაქტიკის შემდეგ) ვლადიმერ ქრისტეფორეს ძე ნაცვლიშვილი 5 სექტემბრიდან ხსნის კავკასიის ოლქის მზრუნველის ნებართვით კერძო მოსამზადებელ სასწავლებელს, სადაც მიიღებიან ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე, როგორც ვაჟები, ისე ქალები. სასწავლებელი იმყოფება რკინის გზის სადგურის პირდაპირ, ლუარსაბ ბერეჟიანის სახლში. (6—4)

**ვილებ საქერავს**

ქალების კაბებს, ბავშვების ტანისამოსს და ყოველგვარ თეთრეულს,

**ძლიერ იაფ ფასებში.**

ვაგზლის ქუჩ. სახლი სლოვიცკის № 10.

6—2

**კბილების**

**ხელოვნურათ დაწმენდა, პლომბი, წამლობა და სხვ.**

გრ. მატ. იოხველი. მახ. 90, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

აშორებს ცუდ სუნს.—„ოქროს პლომბები.

(10—3)

სხვადასხვა ხელსაქმეში დახელოვნებული

ვასწავლი

**ჭრა-კერვას,**

სუფთა ხელსაქმეს და წერა-კითხვას, აგრეთვე ვიღებ **სითვით** (ГЛАДЬЮ) საქარგავებს. მსურველთ შეუძლიათ მოლაპარაკება დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 მდე, პუშკინის ქ., ქეიშვილის სახლები.

(4—3) მ. დ. დუნდუა

ქუთაისში, წითელი ხიდის თავში

გაიხსნა საუცხოვოთ მოწყობილი იაფ-ფასიანი **სასადილო**

**„ეკონომია“**.

სასადილოში ყოველდღე მზ დდება სუფთათ და წმინდათ სხვა და სხვა საჭმლები. აქვე იყიდება ყველანაირი სასმელები.

პატივისცემით გიორგი ასათიანი და ამხ.

(6—3)

**ბაღი „ედემი“**

(ვ ე რ ა ზ ე)

ბესარიონ ბაქრაძის სიკვდილის შემდეგ დღემდის **დაკეტილი იყო.** გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ **პირველ სექტემბრიდან დავიწყეთ ვაჭრობა.** ბუფეტი საუცხოვოთ არის მოწყობილი. მოიპოვება ყველა **ადგილობრივი და საზღვარ-გარეთის ფირმების სასმელები.** სამზარეულო აზიური და ევროპიული. სანოვაგე მუდამ ახალი. **ცოცხალი თევზები** ყოველ დროს.

კონსტანტინე ბაქრაძე (2—2)

**ОБРАЗОВАНIЕ**

(განათლება)

**წიგნის მაღაზია**

გაიხსნა 19 ავგისტოს ქ. თბილისში, მიხეილის პრ., ფინკინის საკანდიტეროს გვერდზედ (სახლი № 78)

მაღაზიაში მოიპოვება უოველგვარი თანამედროვე წიგნები:

**რუსულ, ქართულ, სომხურ, პოლოსურ და თათრულ ენებზე.**

მაღაზია იღებს შეკვეთას წიგნსაცავ-საკითხველოს მოსაწყობათ, როგორც ქალაქში, ისრე პროვინციაში.

Состоящіе въ вѣдѣніи министерства торговли и промышленности.

**Бухгалтерскіе курсы**

**Н. В. Абраамяна,**

Автора „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“, одобр. уч. отд. минист. финансовъ, какъ пособіе для коммерч. уч. заведеній и ихъ библіотекъ.

УЧАТЪ и ПОДГОТОВЛЯЮТЪ ЛИЦЪ ОБОЕГО ПОЛА въ 4 мѣсяца путемъ практики, бухгалтеріи.

Помимо существующихъ предметовъ на курсахъ съ этого учебнаго года будетъ преподаваться безплатно, ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМІЯ—какъ предметъ новый для курсовъ и СТЕНОГРАФІЯ (за особую плату, по желанію).

Начало занятій **съ 15 сентября 1906 г.** періодически черезъ каждые 4 мѣсяца ежедневно послѣ обѣда. Пріемъ прошеній съ 25-го августа ежедневно съ 5 до 7 час. вечера и 9 до 11 ч. утра. По окончаніи выдается установленный аттестатъ. разр. г. мин. финансовъ.

**Независимо отъ сего, при курсахъ же открыты для лицъ малоподготовленныхъ особые дополнит. и повторит. курсы рус. яз. и ариѳметики;**

Правила и программы высылаются безплатно.

Желающихъ прошу обращаться письменно или лично къ учредителю курсовъ въ Тифлисѣ: **Николаевская, 22**, телефонъ 744.

Вышеупомянутое руководство продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ Россіи. Выписывающіе у автора—наложенный платежъ не платятъ. Цѣна за экзем. 3 р. 50 к.

2-1

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ტფილისი, მიხეილის ქუჩ.